საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისიბაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 19 ივლისი. 2019 წ. №145 (8811) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

საქართველომ დამაჯერებლად გაიმარჯვა!

თუმცაღა ნაცკანტორის ფართხალი გრძელდება...



სტრასბურგის სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა ქართული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება და სამართლიანობა, რომლის მიხედვითაც ერთხმად დაუშვებლად ცნო სამართლიანი სასამართლოს ნაწილში არსებული პრეტენზიები და ის, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“ წარმოადგენს ქიბარ ხალვაშის კანონიერ საკუთრებას.

სტრასბურგის სასამართლოს გუშინდელ გადაწყვეტილებას საკმაოდ მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა. **პირველი: არის თუ არა ქართული მართლმსაჯულება ევროპული სტანდარტებისა და საზოგადოების მხრიდან მისადმი ნდობის მაღალი ხარისხის გამოცხადების ღირსი და მეორე: რამდენ ხანს გაგრძელდებოდა სახელმწიფოში მოქმედი დესტრუქციული, რევანშისტული ჯგუფის, დამნაშავე რეჟიმის შემოქმედი „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდისტული მანქანის ბოგინი.**

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამ ქვეყნისთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან შეკითხვებს ის პასუხი გასცა, რის გამოც საქართველომ განვითარების ევროპული გზა აირჩია.

სტრასბურგის სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა ქართული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება და სამართლიანობა, რომლის მიხედვითაც **ერთხმად დაუშვებლად ცნო სამართლიანი სასამართლოს ნაწილში არსებული პრეტენზიები და ის, რომ** ტელეკომპანია „რუსთავი-2“ წარმოადგენს ქიბარ ხალვაშის კანონიერ საკუთრებას.

ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმის გამო, რომ მიუხედავად სასამართლო სისტემაში არსებული გარკვეული ხარვეზებისა (ძაااااალიან რბილად ვამბობ!), საზოგადოებას მიეცა იმის განცდა და იმედი, რომ ყველაფერი ლაგდება და თავის სტატიკურ ადგილს პოულობს.

უცხოელ ინვესტორებს, რომლებმაც ბევრჯერ საკუთარ თავზე გამოსცადეს ნაცისტური რეჟიმის ე.წ. „სასამართლოს გადაწყვეტილებები“, მიეცათ ევროპული სასამართლოს ცნობა („ცნობა“ ცოტა უხეში ნათქვამია, მაგრამ არა უშავს) იმაზე რომ, საქართველოში უკვე შეიძლება სამართლის პოვნა.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი, რაც საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ყველაზე მტკივნეულად აწუხებდა: შხამიანი კრაზანების ბუდე, რომელიც რევანშისტების, მკვლელებისა და მოძალადეების ხელისუფლებაში დაბრუნებას ისახავდა მიზნად, გაქრება და ადამიანები აღარ იქნებიან ყოველდღიური ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ აჩერებს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

ასე რომ, გვარამიების და მსგავსი არამზადების ფართხალი სხვა არაფერია, თუ არა ჭიანჭველას „ბუღრაობა“ დიდ კლდესთან.

2017 წლის მარტში „ტვ-პირველის“ გადაცემაში „რეაქცია“ ვთქვი, რომ სასამართლო პროცესი „რუსთავი-2“ საქართველოს წინააღმდეგ, საქართველომ წააგო.

დღეს თამამად ვამბობ, რომ საქართველომ გაიმარჯვა!

საქართველომ გაიმარჯვა, რადგანაც ეს გამარჯვება არ არის მხოლოდ კერძო მფლობელისთვის წართმეული ქონების დაბრუნება.

ეს გამარჯვება არ არის „ფოლკიშერ ბეობახტერის“, ან „პრავდის“ ქართული ტელევარიანტის დამარცხება.

ეს პროცესი იყო ქართული მართლმსაჯულების საერთაშორისო ტესტი, რომელიც ქართულმა სასამართლომ ნამდვილად ჩააბარა!

გია გაბრიჭიძე

„რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორად პაატა სალია დაინიშნა

„რუსთავი-2“-ის დირექტორად გუშინ პაატა სალია დაინიშნა. შესაბამისი ცვლილება საჯარო რეესტრმა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე დაარეგისტრირა.

ნიკოლოზ მეტრეველი: ქართული სასამართლო დღეს ნატოში შევიდა

ექსპერტი ნიკოლოზ მეტრეველი „რუსთავი-2“-ის საქმეს სოციალურ ქსელში ეხმაურება:

„18 ივლისს სტრასბურგის სასამართლომ „რუსთავი-2“-ის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოაცხადა. გადაწყვეტილების მიხედვით, „რუსთავი-2“-ის საქმეზე, არც ერთ მუხლზე დარღვევა არ დადგინდა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ: ქართული სასამართლო დღეს ნატოში შევიდა! – წერს ნიკოლოზ მეტრეველი.

გია აბაშიძე: ნიკა გვარამიამ „სუხოიზე“ წააგო თეა წულუკიანთან...

– წერს ექსპერტი გია აბაშიძე სოციალურ ქსელში

ნიკა გვარამია აქამდე კვალიფიციური იურისტი გვეგონა, საზოგადოება ელოდა მისი ხელით „კლანის“ დასამარებას. მოხდა პირიქით, გვარამიამ „სუხოიზე“ წააგო თეა წულუკიანთან და სტრასბურგის ხელით „წითელი დიპლომი“ გადასცა „კლანს“.

ამისთვის გვაბრძოლა გვარამიამ მთელი სამოქალაქო საზოგადოება?

ის დრო, შოუბიზნესსა და კულინარიაში დაიხარჯოს ფეიკნიუსერი ნიკა გვარამია.

ანდრეი ილარიონოვი: რუსეთს საქართველო ცოტა ხნით მივიწყებული ჰყავდა, მაგრამ ახლა ომი ახალ ეტაპზე გადავიდა

5

დასაბრმავებელ-დასამუნჯებელი ლევან ბერძენიშვილი და უკვდავი დედა ენა...

6

თეა წულუკიანი: „რუსთავი-2“-ის საქმეზე დავა პალატის დონეზე დასრულებულია სახელმწიფოს სრული გამარჯვებით

— ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, ევროპული სასამართლოს შვიდი მოსამართლისგან შემდგარმა პალატამ ერთხმად დაადგინა, რომ აღარ არსებობს 2017 წლის მარტში გამოყენებული შეჩერების ღონისძიების მიზანშეწონილობა და ის არის მოხსნილი.

ამასთან, თეა წულუკიანის თქმით, ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო „რუსთავი-2“-ის ყველა სასარჩელო მოთხოვნა.

„დაუშვებლად ცნო როგორც დაუსაბუთებელი, ძმები ყარამანიშვილებისა და „ტვ საქართველოს“ საჩივრის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, ასევე ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა ძმები ყარამანიშვილებისა და „ტვ საქართველოს“ სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც უკავშირდება მოსამართლე ნინო გვენეტაძეს; ერთხმად დაუშვებლად ცნო სამივე მომჩივანის, ძმები ყარამანიშვილებისა და „ტვ საქართველოს“ სამართლიანი სასამართლოს ნაწილში არაერთი პრეტენზია. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ძმები ყარამანიშვილებისა და „ტვ საქართველოს“ სამართლიანი სასამართლოს უფლება. რაც შეეხება მოსამართლეებს — ურთმელიძესა და თოდუას, ასევე ერთხმად დაადგინა, რომ ამ საქმეზე არ არსებობს საჩივრის განხილვის აუცილებლობა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის ჭრილში. რაც შეეხება ურთმელიძესა და თოდუას, ამ საკითხთან დაკავშირებით უმცირესობაში დარჩენილია ერთი მოსამართლის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, რომელმაც, როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს, სწორედ სამართლიანი სასამართლოს ამ ორ კომპონენტში წინააღმდეგ მისცა ხმა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე ნათქვამია, რომ განხილული იქნა ნიკა გვარამიას მიერ მოთხოვნილი მოსამართლე ლადო ჭანტურიას აცილების შუამდგომლობა, რომელიც უაროფილ იქნა როგორც **„სრულიად დაუსაბუთებელი“**. ეს არის საქმის სარეზოლუციო და სხვა ნაწილების მოკლე შეჯამება. გადაწყვეტილება არის 100-ზე მეტი გვერდისგან შემდგარი, შესაბამისად, მის სამოტივაციო ნაწილს ჩვენც და მოწინააღმდეგე მხარეც დეტალურად მომავალში გავეცნობით“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

„რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას და დღეიდან ძალაშია

„რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების ერთადერთი ნაწილი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, შეჩერების ღონისძიების მოხსნაა, — ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, გადაწყვეტილებაში პირდაპირ წერია, რომ სასამართლო, ვინაიდან „რუსთავი-2“-ის ყველა სასარჩელო მოთხოვნა დაუშვებლად იქნა ცნობილი, აღარ თვლის საჭიროდ, რომ შეჩერების ღონისძიება იყოს ძალაში და ის არის მოხსნილი.

„სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც შეჩერების, ასევე შეჩერების მოხსნის, არ ექვემდებარება გასაჩივრებას და დღეიდან ძალაშია. შესაბამისად, ჩვენ, მხარეები თუკი რაიმეს გავასაჩივრებთ იმ გადაწყვეტილებიდან, რაც გამოქვეყნდა, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც არსებითი გადაწყვეტილებაა. სხვა აქ სადავო პრინციპში არაფერი ჩანს. შესაბამისად, გასაჩივრების პროცედურები არის შემდეგი — მხარე ასაჩივრებს, ამისთვის მას აქვს სამი თვის ვადა, თუმცა დიდი პალატის მიერ გასაჩივრებული საქმის განხილვა ავტომატური არ არის. შუაში არსებობს ე.წ ფილტრაციის კოლეგია, რომელიც ან დაუშვებს საქმეს განსახილველად დიდ პალატაში ან არ დაუშვებს. თქვენ გახსოვთ, რომ ასე ჩვენ გავასაჩივრეთ პალატის გადაწყვეტილება საქმეზე — ვანო მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ და ეს საქმე მოხვდა იმ სამ თუ ოთხ პროცენტ საქმეებში, რომელიც ფილტრაციის კოლეგიამ დიდი პალატის განსახილველად დაუშვა. პროცედურა აქაც იქნება იგივე“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება პირწავარდნილი ნაცისთვისაც შოკის მომგვრელი გამოდგა

„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებით, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილება შოკის მომგვრელია და წარმოუდგენელია.

„რუსთავი-2“-ის ეთერში ვართ და არ ვაპირებთ არ ყოფნას, პირველ რიგში, რომ არ ვთქვა, გადაწყვეტილება შოკის მომგვრელია და აბსოლუტურად წარმოუდგენელი, არ ვიქნები მართალი. იურისტი ვარ ყველაფერთან ერთად, ეს მართალია, დაგავიწყდათ, მაგრამ ვარ და არცთუ ისე ცუდი. ვფიქრობ, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით რა სასამართლოც არ უნდა იყოს, კრიტიკის უფლება მაქვს. გადაწყვეტილება არის სრულიად წარმოუდგენელი“, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

საჯარო რეესტრმა ქიბარ ხალვაშს „რუსთავი-2“ დაურეგისტრირა

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2“ ქიბარ ხალვაშს დაურეგისტრირა. **საჯარო რეესტრმა ტელევიზიის 60% — ქიბარ ხალვაშს, ხოლო 40% ხალვაშის კომპანია „პანორამას“ მიეკუთვნა. გადაწყვეტილება რეესტრმა გუშინ 15:28 საათზე მიიღო. დაახლოებით ერთი საათის წინ საჯარო რეესტრმა ქიბარ ხალვაშის ადვოკატის სარეგისტრაციო განცხადება მიიღო.**

პაატა სალია შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის რეგისტრირებულ მონაცემებში პარტნიორისა და წილის ცვლილებას ითხოვდა. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაცხადა. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, „რუსთავი-2“-ის საქმეზე კონვენციის დარღვევა არ დადგინდა და შეჩერების მექანიზმი მოიხსნა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება # B19078943/3 (18/07/2019 15:28:05)

რეგისტრაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**B19078943** 18/07/2019 13:57:32 (განმცხადებელი: პაატა სალია/62001022722/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2**
საიდენტიფიკაციო კოდი: **211352016**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და განცხადებაზე თანდართული საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 211352016) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების, კერძოდ, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს კაპიტალში 60% წილის მესაკუთრედ ქიბარ ხალვაშისა (პირადი ნომერი: 61002000543) და 40% წილის მესაკუთრედ შპს „პანორამა“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205033328) რეგისტრაციის შესახებ.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით.

პაატა სალია: ნიკა გვარამიას განცხადება სამართლებრივი ნონსენსია

ნიკა გვარამიას განცხადება, რომ არ შეიძლება დირექტორის გათავისუფლება, სამართლებრივი ნონსენსია, — ამის შესახებ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამ „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას კომენტარის საპასუხოდ ბრძანა, რომლის მიხედვითაც კომპანიამ დაიქირავა ის დირექტორად და არ აპირებს თანამდებობის დატოვებას.

„ნიკა გვარამიას განცხადება, რომ არ შეიძლება დირექტორის გათავისუფლება, სამართლებრივი ნონსენსია. წინასწარ არ ვიცი, რა ხელშეკრულება შეადგინა, ამას ალბათ ვნახავთ, როცა საშუალება მოგვეცემა და სამართლებრივ ნაწილზე გავაკეთებთ კომენტარს“, — განაცხადა პაატა სალიამ. ამასთან, პაატა სალიამ აღნიშნა, რომ ქიბარ ხალვაშის გადაწყვეტილებით ჟურნალისტების საქმიანობაში ჩარევა არ მოხდება.

„ნაადრევია, ვისაუბრო კონკრეტულად გეგმებზე, პირველ რიგში, უნდა გავიგოთ, რა გვხვდება კომპანიაში მატერიალური და ფინანსური თვალსაზრისით, ასევე ვალდებულებების ნაწილში. რაც შემიძლია ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ არანაირი ჩარევა, მითითება არ იქნება ჟურნალისტების მიმართ მათ საქმიანობაში. ისინი გააგრძელებენ მუშაობას, როგორც თვლიან საჭიროდ. მე მხოლოდ კომპანიის მენეჯმენტთან დაკავშირებული საქმეები მეხება და არა სამაუწყებლო ნაწილი“, — განაცხადა პაატა სალიამ.

სამართლიანობა აღდგება მაშინ, როდესაც „რუსთავი-2“ დაუბრუნდება მის დამფუძნებლებს!

„რუსთავი-2“-ის დამფუძნებლები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე „რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმიანებიან და ქიბარ ხალვაშს ულოცავენ.

„სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა მიუკერძოებელმა სასამართლომ კიდევ ერთხელ დაკატეგორიულად დაადასტურა, რომ „რუსთავი-2“-ის დღევანდელ მფლობელებს არაკანონერად და ბანდიტურად აქვთ მითვისებული ჩვენს მიერ დაფუძნებული, ერთ დროს დამოუკიდებული და თავისუფალი ტელევიზია. ვულოცავთ ქიბარ ხალვაშს ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას.

ამასთანავე, კატეგორიულად ვთვლით, სამართლიანობა აღდგება მხოლოდ მაშინ, როდესაც უკანონოდ წართმეული და პარტიულ სამსახურში ჩაყენებული „რუსთავი-2“ დაუბრუნდება მის დამფუძნებლებს“.

გია ვოლსკი: სახელმწიფოსა და „რუსთავი-2“-ს შორის დავა დამთავრდა იმით, რომ სახელმწიფოს პოზიცია ყველა მუხლში გამართლდა

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩვენთვის იქნებოდა ყველა შემთხვევაში მისაღები, როგორი ფინალიც არ უნდა ჰქონოდა ამ განხილვას. დადასტურდა, რომ შეჩერების მექანიზმი დღის წესრიგიდან მოიხსნა და მოსარჩელე მხარემ სამართლიანი სასამართლოს უფლებით ისარგებლა.

„სამართლიანობის თემასთან დაკავშირებით აქ კითხვები არ არსებობს. სახელმწიფოსა და „რუსთავი-2“-ს შორის დავა პრაქტიკულად დამთავრდა იმით, რომ სახელმწიფოს პოზიცია ყველა მუხლში იქნა მართებულად ცნობილი, ეს არის ფაქტი. გარდა ამისა, არის კიდევ თემები, რომელიც ზუსტად ახასიათებს იმ პერიოდს, როდესაც ქონების წართმევა-წაგლეჯა იყო ჩვეულებრივი პრაქტიკა. იგივე ვაზაგაშვილის თემასთან დაკავშირებით, კიდევ მეორე მოქალაქესთან დაკავშირებით სასამართლომ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, რომ დარღვეული იყო სიცოცხლის უფლება და წამების ფაქტი — საკმაოდ მძიმე ფაქტი დაადასტურა. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ხელისუფლება გამტყუნდა, მაგრამ ეს ის ხელისუფლებაა, რომელმაც ეს დანაშაულები ჩაიდინა თავის დროზე“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

შალვა ნათელაშვილი ტანსაცმლიანი გიჟი გამოდგა...

ძრთამი **მარტო ჯოჯოხეთს კი არა, როგორც ჩანს, ევროპის სასამართლოსაც ანათებს,** — ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა „რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა.

„თავიდანვე აღვნიშნავ, რომ „რუსთავი-2“ კი არა, „სიენენი“ და „ბიბისიც“ რომ ჩაიგდოს ხელში ბიძინა ივანიშვილმა, მას მაინც არაფერი ეშველება, რადგან ხალხის გულიდან იგი საბოლოოდ ამოღებულია. რაც შეეხება ევროპის სასამართლოს, დღეს გადამწყვეტი როლი ითამაშა შეკვეთებზე მომუშავე ცნობილმა მოსამართლე ლადო ჭანტურიამ, რომელიც ივანიშვილმა იქ ფაქტობრივად, ფულის ჩამომტარებლად შეუშვა. ქრთამი მარტო ჯოჯოხეთს კი არა, როგორც ჩანს, ევროპის სასამართლოსაც ანათებს. რა თქმა უნდა, აქ გადამწყვეტ როლს ითამაშებდნენ ასევე ევროპის პროპუტუნისტური ქვეყნებიდან წარდგენილი მოსამართლეებიც“, — გააცხადა შალვა ნათელაშვილმა.

სააკაშვილი საყოველთაო მობილიზებას აცხადებს!..

ვაცხადებთ **საყოველთაო მობილიზებას, მოვითხოვოთ ვადამდელი არჩევნები, მზად ვარ, ერთად ვიბრძოლოთ,** — ამის შესახებ ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა და საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გავრცელებული ვიდეომიმართვისას „რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა.

„მინდა, მოგმართოთ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით და არა მარტო. ივანიშვილს მიაქვს მთელი საქართველო, მთელი ბიზნესი, ბიუჯეტი, მიწები და ტყეები. მეგობრებო, წყნარად დავხვდეთ და შევეგუოთ? გვინდა, რომ მტერს ჩავაბაროთ სამშობლო? მე არ ვაპირებ გაჩერებას, ბოლომდე ბრძოლას ვაპირებ. მოდი, გვერდით გადავდოთ შვებულებები, დასვენებები და დავაყენოთ სამშობლო ჩვენზე მაღლა. ეს საზიზღრობაა, ბოროტებაა, არ უნდა გაიმარჯვოს. ვდგებით ერთად, ვაცხადებთ საყოველთაო მობილიზებას. ყველა ძალას მოვუწოდებ, ვისთვისაც მნიშვნელოვანია საქართველოს მომავალი, დავსხდეთ ერთად და ვიბრძოლოთ ბოლომდე, ივანიშვილის მოშორებამდე. მოვითხოვოთ ვადამდელი არჩევნები. ჩვენ ყველაფერი გამოგვივა. ვიდგებით ერთად და მზად ვარ, ერთად ვიბრძოლოთ“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ძვირფასო მკითხველო, არც ახლა გვჯერათ, რომ გიჟი მიშა მართლა თავისუფალია და ეს თავისუფლება მან დამსახურებულად მოიპოვა!!!

ვაზაგაშვილისა და გოგალაძის საქმეებზე დავა სახელმწიფოს მარცხით დასრულდა!

ვაზაგაშვილის **საქმე სტრასბურგის სასამართლოში დასრულდა სახელმწიფოს სრული მარცხით,** — თქვა გუშინ თეა წულუკიანმა. **„გამოქვეყნდა გადაწყვეტილება საქმეზე ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც სიცოცხლის უფლებას ეხებოდა და ეს საქმე სრულად დასრულდა სახელმწიფოს მარცხით. როგორც მკვლელობის ნაწილში, ასევე ამ საქმის არაეფექტურად და გაჭიანურებულ ვადებში გამოძიების გამო და ოჯახის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 50 000 ევროს კომპენსაციის სახით გადახდა“.** საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ასევე ისაუბრა ნოდარ გოგალაძის საქმეზე, რომელზეც გადაწყვეტილება ასევე გამოქვეყნდა.

„მესამე საქმეზე, რომელიც 2008 წელს მომხდარი არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ეხებოდა, ასევე დასრულებულია სახელმწიფოს მარცხით და მომჩივნის სასარგებლოდ დადგინდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის მუხლის, მესამე მუხლის დარღვევა“.

ვაზაგაშვილის საქმეზე სახელმწიფოს 50 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა

როგორც **სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს განმცხადებელს სამი თვის ვადაში 50 ათასი ევრო დამატებით გადასახადი, რომელიც შესაძლოა, იყოს მიყენებული არამატერიალური ზიანისთვის.**

2006 წლის 2 მაისს თბილისში, ყოფილი კორტების ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი დაიღუპნენ. მაშინდელმა გამოძიებამ განაცხადა, რომ „სპეცოპერაციის დროს ყაჩაღური ჯგუფის წევრები“ დაიღუპნენ, რასაც საზოგადოების ნაწილის პროტესტი მოჰყვა. კორტების საქმის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით არაერთი საპროტესტო აქცია გაიმართა. ვაზაგაშვილის ოჯახმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. სტრასბურგმა სარჩელი წარმოებაში 2007 წლის ბოლოს მიიღო.

2015 წელს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ე.წ. კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის საქმე გახსნილად გამოაცხადა და განზრახ მკვლელობის, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციისა და განზრახ უკანონო დაკავების ბრალდებებით 11 ყოფილი და მოქმედი პოლიციელი დააკავა. თბილისის საქალაქო სასამართლომ იმავე წელს ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძეს 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო თბილისის სპეცრაზმის ყოფილ უფროსს კახა ნაკანს ბრალდება გადაუკვალიფიცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლევან ბეროძეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, გრიგოლ კვინიკაძეს კი ოთხი წლითა და ექვსი თვით. 2017 წელს სააპელაციო სასამართლომ განაჩენი უცვლელი დატოვა.

2015 წლის დასაწყისში ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე ააფეთქეს. საქმეზე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ბრალდებით პოლიციის თანამშრომელი გია სოსანაშვილი დააკავეს.

2008 წელს ნოდარ გოგალაძე აწამეს!

ადამიანის **უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ნოდარ გოგალაძის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა დაადგინა, რაც წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას გულისხმობს.**

ამასთან, სტრასბურგის სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების შესახებ კონვენციის მე-13 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის განხილვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას საბოლოო გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში მოსარჩელესთვის კომპენსაციის სახით 6 000 ევროს გადახდა დააკისრა. სტრასბურგის სასამართლომ მოსარჩელის მიერ კომპენსაციის შესახებ სხვა მოთხოვნები არ დაკმაყოფილა.

აღსანიშნავია, რომ გოგალაძის დაცვის მხარე კომპენსაციის სახით 50 000 ევროს და სამართალწარმოების ხარჯების ანაზღაურებას ითხოვდა. ნოდარ გოგალაძე ბორჯომის პოლიციამ 2008 წლის თებერვალში დააკავა. მოსარჩელე აცხადებდა, რომ პოლიციის განყოფილებაში მას ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მანანა ვაზაგაშვილი: იური, სამართალმა იზეიმა, რისთვისაც იბრძოდი, იმას მიაღწიე, მხდალები და მკვლელები დამარცხდნენ

სტრასბურგის **სასამართლოს გადაწყვეტილება ძალიან სასიხარულო ინფორმაციაა, თუ შეიძლება ამას სასიხარულო ერქვას. ძალიან გული მწყდება, რომ ამ დღეს ჩემი ძმა, იური ვაზაგაშვილი ვერ მოესწრო,** — ამის შესახებ 2006 წლის 2 მაისს თბილისში, ყოფილი კორტების ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაღუპული ზურაბ ვაზაგაშვილის მამიდამ მანანა ვაზაგაშვილმა განაცხადა.

„ყოველთვის ამბობდა, შევეწირები ამ საქმესო და შეეწირა. სიმართლემ მაინც იზეიმა. ვისაც ეგონა, რომ ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი მართლა ყაჩაღები იყვნენ, როგორც ამას წინა ხელისუფლება, მკვლელები ამბობდნენ, ყველა დარწმუნდეს, რომ ეს ასე არ იყო. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს სამართალმა იზეიმა.

ჩემმა მტერმა გაიაროს ის, რაც ჩვენ გავიარეთ. გარდა იმისა, რომ ამხელა ტრაგედია გადავიტანეთ, განვიცდიდით ზეწოლას მკვლელების მხრიდან — უამრავი შეურაცხყოფა, ცილისწამება, საშინელებები გადავიტანეთ, მაგრამ მაინც გვქონდა იმედი, რომ სამართალი იზეიმებდა. როგორც კი გავიგე დღეს ეს ამბავი, ერთი სული მქონდა, გავქცეულიყავი და ჩემი ძმისთვის ჩამეძახა სასაფლაოზე, რომ იური, სამართალმა იზეიმა, რისთვისაც იბრძოდი, იმას მიაღწიე. ჩემი ძმა გამარჯვებულია, ის კაცურად წავიდა და ეს მხდალები და მკვლელები დამარცხდნენ“, — განაცხადა მანანა ვაზაგაშვილმა.

„ფლანგვის დეტექტორი“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტს „უტევს“!

ამბროლაური საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ღარიბი მინიციპალიტეტია. აქ ყოველი მეორე ადამიანი სოციალურად დაუცველთა სიაშია და ამას ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით ამბროლაურის რაიონში 11 ათასი ადამიანი ცხოვრობს, საიდანაც დაახლოებით 5 ათასი სოციალურად დაუცველია. ამასთან ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა საპენსიო ასაკის წარმომადგენელია.

მიუხედავად მძიმე სოციალურ-დემოგრაფიული ფონისა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული არა სიღარიბის დაძლევა, არამედ გართობა და დასვენება აღმოჩნდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია **„მმართველობის მონიტორინგის ცენტრის“** მედიაპროექტმა **„ფლანგვის დეტექტორი“** არსებული ვითარება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე დაყრდნობით შეისწავლა და დაადგინა, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო თანხები არამიზნობრივად იხარჯება — **ამბროლაურის მერიამ გართობასა და დასვენებაზე 1,4 მლნ ლარი დახარჯა, ხოლო სოციალურ**



პროგრამებზე 265 ათასი ლარი.

„ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა თითქმის მილიონ-ნახევარი დახარჯა გაურკვეველ სპორტულ და რელიგიურ ღონისძიებებში. ამ თანხაში შედის ის ააიპ-ებიც და იქ დასაქმებული ადამიანების ხელფასებიც. ააიპ-ების ფარგლებშიც შექმნილია არაერთი სპორტული კლუბი, თუმცა მათი მიღწევების შესახებ რატომღაც არაფერი გვსმენია. თანაც, უკვე ყველასთვის ცნობილია ამ სიპპ-ები და ააიპ-ების რეალური დანიშნულება და მათი გაბერილი რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. არაერთი ფაქტი ადასტურებს, რომ, როგორც წესი, ასეთ უწყებებში დასაქმებულები არიან მმართველი გუნდის მხარდამჭერები და ეს არის ერთგვარი ნეპოტიზმისა და პატრონაჟის მთავარი წყარო. ამ ყველაფრით იმის თქმა გვინდა, რომ ყველაფერი შედარებითია და როდესაც ამბროლაური ერთ-ერთი უღარიბესი რაიონია, ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა სოციალურ პროგრამებს“, — განმარტავს „ფლანგვის დეტექტორის“ მკვლევარი დავით მჟავანაძე.

რაც შეეხება თავად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პოზიციას, ბრალდებებს უარყობს. უწყებაში დარწმუნებულები არიან, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი მთლიანი თანხა (1 მლნ. 400 ათასი ლარი) მიზნობრივად და სამართლიანად ნაწილდება. ამიტომ, „ფლანგვის დეტექტორს“ მის ოფიციალურ Facebook-ზე ასე პასუხობს:

„თქვენს მიერ აღნიშნული ინფორმაცია არის პროვოკაცია და საზოგადოების მოტყუების მცდელობა. დააკონკრეტეთ ან „გართობისთვის“ გამოყოფილი 1,4 მილიონი ლარი სად ჩანს აღნიშნულ ბიუჯეტში ან სოციალურ პროგრამებზე გამოყოფილი 265 000 ლარი. მერიის მიერ დახარჯული თითოეული თეთრი არის გამჭირვალე და საჯარო, შესაბამისად ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია და დეტალურად გაეცნოს.

რაც შეეხება კონკრეტულად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით 2019 წელს გამოყოფილ თანხას, გაცნობებთ, რომ შეადგენს 596 ათას ლარს, ხოლო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ბიუჯეტი არის 188 ათას ლარი. შესაბამისად, თქვენს მიერ დადებული ინფორმაცია არის არასწორი და არ შეესაბამება არსებულ რეალობას“, — განმარტავენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში.

ამ განცხადებას „ფლანგვის დეტექტორის“ მკვლევარი დავით მჟავანაძე პოპულიზმს უწოდებს და ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ნამდვილად საჯაროა. შესაბამისად ბიუჯეტიდან გაფლანგული თანხის ოდენობას სწორედ ეს დოკუმენტი ადასტურებს:

„მათსავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სოციალური დაცვის პროგრამის დასაფინანსებლად 2018 წელს დახარჯულ თანხაში მითითებულია 265 ათას ლარი, ხოლო ამავე ბიუჯეტში „დასვენება, კულტურა, რელიგიის“ დასაფინანსებლად გამოყოფილია მილიონ 399 ათას 400 ლარი. ეს არის მხოლოდ წლევანდელი მონაცემები. როგორც უკვე აღვნიშნე, ცალკე თემაა ზოგადად სსიპ-ებისა და ააიპ-ების ფუნქციადანიშნულება, რაც ამბროლაურის შემთხვევაში საერთოდ გაუგებარია“.

ბოლო წლებში სსიპ-ების და ააიპ-ების რაოდენობის მკვეთრი ზრდის, ხშირ შემთხვევაში კი მათი ფორმალური არსებობის შესახებ „კომერსანტი“ ადრეც წერდა. გავრცელებული მოსაზრებით, ყველაზე ხშირად სწორედ სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები ხდებიან ნეპოტიზმის, პოლიტიკური ნიშნით თანამშრომლის აყვანისა, — საუბრობენ კორუფციის მაღალ რისკებზეც.

სალომე ლემონჯავა

მოულოდნელმა დევალვაციამ სამშენებლო სექტორს მორიგი დარტყმა მიაყენა

ეროვნული ვალუტის ბოლოდროინდელმა მკვეთრმა ვარდნამ დამატებითი **პრობლემა შეუქმნა სამშენებლო ბიზნესს. იანვრიდან მოყოლებული ეს სფერო ისედაც დიდ წნეხს განიცდის და მორიგმა გამოწვევამ ახალი თავსატეხი შეუქმნა დეველოპერებს.**

საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი **თორნიკე აბულაძე** ამბობს, რომ ლარის კურსის თავბრუდამხვევი გაუფასურების შედეგად, დეველოპერული კომპანიების ბიუჯეტების 3.0-იან ნიშნულზე დაგეგმვა სწორი არ არის. ლარის პრობლემა არის სტაბილურობა და არა რომელიღაც ნიშნული.

„ლარი სჯობს, მყარად იყოს, პირობითად, 2.90-იან ნიშნულზე, ვიდრე 2.70-სა და 2.80-ს შორის მუდმივად თამაშობდეს. მნიშვნელოვანია სტაბილურობა და პროგნოზირება, განსაკუთრებით დეველოპმენტში, სადაც გრძელვადიანი გათვლებია და პროცესი საშუალოდ, 2-3-წლიან პერიოდს მოიცავს. ლარის 2.93-იანი კურსი, რაც 3-4 დღის წინ დაფიქსირდა, უფრო პოლიტიკური პროცესებისგან გამოწვეული პანიკის შედეგი იყო.

ჩემი აზრით, ლარის ასეთი კურსი არის დროებითი. თუმცა, პროგნოზების გაკეთება რთულია. შეიძლება აიწიოს ან პირიქით, გამყარდეს. მნიშვნელოვანია, როგორ განვითარდება მოვლენები“...

საინტერესოა, ლარის კიდევ უფრო გაუფასურებისთვის სამშენებლო სექტორი მზად არის თუ არა. ამასთან დაკავშირებით აბულაძე განმარტავს, რომ უძრავი ქონების და დეველოპერული სექტორი ნებისმიერი რყევების მიმართ მგრძნობიარეა. შესაბამისად, სექტორს კურსის ცვალებადობა ძალიან ურტყამს.

„როგორც კი იქმნება არასტაბილურობის განცდა, მცირდება ტრანზაქციები. განსაკუთრებით, საზაფხულო პერიოდში, თან ასეთი რყევის ფონზე, ყველა შეეცდება, სექტემბრამდე მოიცადოს. შესაბამისად, გაყიდვა შემცირდება“, — აცხადებს „კომერსნტთან“ აბულაძე.

ამ პროცესების გამო მშენებლობების გაძვირება არ მოხდება, რადგან სამშენებლო სექტორში მასალების უდიდესი წილი, დაახლოებით 80% ადგილობრივი წარმოებისაა, შესაბამისად, ხარჯიც ლარშია, თუმცა პოტენციურ კლიენტებს უმცირდებათ თანხა, რომელიც მათ უნდათ, უძრავი ქონების შესაძენად დაარეზერვონ. ეს კი ისევ და ისევ პრობლემებს დეველოპერულ ბიზნესს უქმნის.

ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა და სამშენებლო სფეროში შექმნილი მძიმე სიტუაციის შემდეგ იპოთეკური სესხის გაცემის პირობები შეეცვალა. ბიზნესი ფიქრობს, რომ მდგომარეობა ამით ცოტათი გამოსწორდება, თუმცა დანაკარგი იმდენად დიდია, რომ პრობლემის მოსაგვარებლად კომპანიებს დიდი ძალისხმევის გაწევა დასჭირდებათ. როგორც მენაშენეები ამბობენ, რეგულაციების გამარტივება ბიზნესისთვის შვებაა, მაგრამ შექმნილ ვითარებას ადვილად ვერ გამოასწორებს.

ასე რომ, პირველ იანვარს ამოქმედებული საბანკო რეგულაციების გავლენით შემცირებულ სამშენებლო ბიზნესს სესხის აღების პირობები შედარებით გაუმარტივდება. კერძოდ, შემოსავლებისა და გადახდისუნარიანობის შეფასება კომერციული ბანკების მერ მოხდება, თუ სესხი ლარში იქნება გაცემული და თანამონაწილეობის კომპონენტიც იარსებებს.

ლარით იპოთეკური სესხების გაცემის შემთხვევაში მინიმუმ 20%-იანი თანამონაწილეობის პირობებში, კომერციული ბანკები მსესხებლის გადახდისუნარიანობას შიდა მოდულებით შეაფასებენ.

„ეს არის ნორმალური მიმართულებით სვლის თავიდან დაწყება. ცხადია, ეს არ არის არაფერი ახალი, კომერციული ბანკები რეგულაციების ბაზარზე გავლენას საკუთარი კრიტერიუმებით, მოდულებით ისედაც აფასებდნენ. რატომ ჰგონია ვინმეს, რომ კომერციული ბანკები ისედაც ასე არ იქნებოდნენ? ეს არის მცდელობა, რომ ხელისუფლებამ და ეროვნულმა ბანკმა საკუთარი ცვლილებების კატასტროფული შედეგი ოდნავ მაინც გამოასწორონ“, — აცხადებს დეველოპერი **ირაკლი როსტომაშვილი**.

ეკა ბაძრაძე

„ქართლის ქარის ელექტროსადგური“ იყიდება

მთავრობა ქარის ელექტროსადგურის 100-პროცენტიან წილს ყიდის. შესაბამის განკარგულებას პრემიერ-მინისტრმა ხელი უკვე მოაწერა.

მამუკა ბახტაძემ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაავალა, უზრუნველყოს შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ 100-პროცენტიანი წილის აუქციონის გზით გასხვისება. როგორც განკარგულებაში წერია, სამინისტრომ „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ გასაყიდად „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდთან“ და „გაზისა და ნავთობის კორპორაციასთან“ პარტნიორობით უნდა მოამზადოს.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ დამფუძნებელი სახელმწიფოა და პროექტის მშენებლობისთვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 24 მილიონდოლარიანი კრედიტი გამოყო.

აღსანიშნავია, რომ „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ საქართველოში ალტერნატიული ენერგიების მიმართულებით პირველი პროექტია და მისი დადგმული სიმძლავრე 20,7 მეგავატს შეადგენს. სადგური ექსპლუატაციაში 2016 წლის 20 დეკემბერს ოფიციალურად შევიდა, ხოლო კვალიფიციურ საწარმოდ 2017 წლის 27 იანვარს დარეგისტრირდა.

ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲝᲕᲘ:

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲧᲐᲕᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲝᲛᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ

ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲝᲕᲘ, კატონის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი და წარსულში პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მრჩეველი, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აფასებს. ის ამბობს, რომ 20 ივნისის შემდეგ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები კარგად დაგეგმილი „სპეციალური ოპერაციაა“. ილარიონოვს „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი ესაუბრა.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲐᲜᲓᲠᲔᲘ, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის დრო რომ გამონახეთ. ცოტა ხნის წინათ კომუნისტური პარტიის წევრი, რუსეთის დუმის დეპუტატი სერგეი გავრილოვი საქართველოში იმყოფებოდა. პარლამენტის სხდომათა დარბაზში საერთაშორისო საპარლამენტთაშორისო მართლმადიდებელი ასამბლეისთვის სიტყვით მიმართვისას, ის პარლამენტის სპიკერის სავარძელში ჩაჯდა. საქართველოში ამ ნაბიჯს სწრაფი საპროტესტო რეაგირება მოჰყვა, რაც ანტისაოკუპაციო მასშტაბური დემონსტრაციებით გაგრძელდა. რას ფიქრობთ ზოგადად ამ უცნაურ მოვლენაზე — რუსი კომუნისტი მართლმადიდებელი დეპუტატი საქართველოში სპიკერის სავარძელში?

— ამაზე ჩემი რეაქცია ისაა, რომ ეს ადამიანი, ალბათ, ძალიან ჭკვიანი არ არის. ის არა მხოლოდ არა ფიქრობს იმაზე, თუ რას აკეთებს და როგორ აკეთებს, არამედ მას ინტელექტიც არ აქვს. მან ბევრი არაფერი იცის საქართველოზე, ქვეყნის ისტორიაზე და კულტურაზე. თუმცა, მან ასევე ბევრი არაფერი იცის ზოგადად სახელმწიფო ინსტიტუტებზე. ეს უბრალოდ მის დაბალ ინტელექტზე მიუთითებს. თუმცა, მეორეს მხრივ, ამით გამოჩნდა ის სიღრმისეული იმპერიული აზროვნება, რომელიც რუს დეპუტატებს და პოლიტიკური ისტებლიშმენტის წევრებს ხშირად აქვთ. არ მგონია, გავრილოვი გამიზნულად მოიქცა ასე, ის უბრალოდ ფიქრობდა, რომ ეს მისაღებია. ამასთან, გაუგებარია თვითონ ამ უცნაური ორგანიზაციის მიზანიც, რომლის შესახებაც, უნდა გამოვტყდე და აქამდე არაფერი მსმენია. ჩემთვის ასევე გაუგებარია ისიც, თუ რატომ არის საქართველო ასეთი უცნაური ორგანიზაციის წევრი. არ ვიცი და ვერ გავიგე, რატომ დართო საქართველოს პარლამენტმა მას ნება, ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა. ესეც შეკითხვებს წარმოქმნის. ნებისმიერი დეპუტატი ნებისმიერი ქვეყნიდან პატივს სცემს ძალაუფლებას, სიმბოლოებს და კარგად ესმის, სად იკვეთება ეს ხაზი. ასე რომ, ყველაფერი ძალიან უცნაურად ჩანს თავიდან ბოლომდე.

— გავრილოვი საინტერესო ფიგურაა. საქართველოში ჩასვლამდე მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მას შემდეგ კი თითქმის ყოველდღე გამოდის უცნაური განცხადებებით. მაგალითად, ერთ-ერთ ბოლო განცხადებაში თქვა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღარ არსებობს. არ მინდა, ამ ინდივიდზე ბევრი ვილაპარაკოთ, მაგრამ საინტერესოა ის, თუ რამდენად წარმოადგენს გავრილოვი რაღაც უფრო დიდს, ვიდრე მხოლოდ ერთ დეპუტატს. რუსეთის დუმაში ბევრია ისეთი დეპუტატი, როგორიც გავრილოვი?

— არც მე და კიდევ ბევრ ადამიანს საქართველოში მის უცნაურ ქცევამდე, მის შესახებ არაფერი სმენია. მაგრამ ახლა ის საჯარო ყურადღების ცენტრშია და როგორღაც გაიგო, რომ ამ პოზიციის გამოყენება შეუძლია. შეიძლება, მას სხვა ადამიანები იყენებენ, როგორც მექანიზმს იმისთვის, რომ გარკვეული მესიჯების კომუნიკაცია მოახდინონ, სიგნალები გაგზავნონ. ვფიქრობ, მას იყენებენ ამ განცხადებების გასაჟღერებლად. გავრილოვს ეს განცხადებები ორიოდე კვირის წინათ რომ გაეკეთებინა, მას ყურადღებას არავინ მიაქცევდა, მაგრამ დღეს ყველა მასზე საუბრობს. საკითხმა ევოლუცია განიცადა — ახლა სცენარის განვითარების მეორე საფეხურზე ვართ.

— „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტის გიორგი გაბუნიას საქციელიც ერთ-ერთი უცნაური მოვლენაა. მის მიერ ვლადიმირ პუტინის პირდაპირ ეთერში ასე გინება უპრეცედენტოა, მიუხედავად იმისა, რომ გინება ქართულ მედიასივრცეში არც თუ ისე იშვიათი რამაა. რას ფიქრობთ მის მონოლოგზე?

— ამ ადამიანზეც არაფერი მსმენია წარსულში. გავრილოვისგან განსხვავებით, რომელიც აშკარად მოუმზადებელი იყო და ყველაფერი შემთხვევით მოხდა, გაბუნიას შემთხვევაში პირიქით, არაფერი იყო შემთხვევითი. ის ძალიან კარგად იყო მომზადებული. აქ არ ვსაუბრობ უბრალოდ გინებაზე. ეს არ არის ბუნებრივი ქცევა ბევრ დონეზე — იქნება ეს ყოველდღიური საუბრები თუ მედიასივრცე — განსაკუთრებით, როცა ასე ჟურნალისტი საუბრობს და მით უმეტეს, სხვა ქვეყნის პრეზიდენტზე. ეს ცხადია საქართველოში არსებული მედიის ეთიკური სტანდარტების უხეში დარღვევა და საზოგადო ნორმებიდან უცნაური გადახვევა იყო. სწორედ ამის გამო, ეს ძალიან საინტერესო საკითხია.

ეს ადამიანი კითხულობდა მის მონოლოგს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არ იყო შემთხვევითი ამბავი, ემოციური აფეთქება. მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რას აკეთებდა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, არც ისე კარგად კითხულობდა. ეს ყველასთვის ნათლად გამოჩნდა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ბევრმა ქართველმა რუსული გინება თითქმის უნაკლოდ იცის. გაბუნია უნაკლო ნამდვილად არ იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ამ ლექსიკით ზოგადად არ საუბრობს და ამიტომაც უშვებდა შეცდომებს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს მისი იდეა არ იყო.

— ვისი იდეა იყო ეს, თქვენი აზრით?

— არ ვიცი. თავისი იდეა რომ ყოფილიყო, ამას ისე გააკეთებდა, რომ მისთვის უფრო ბუნებრივი ყოფილიყო. ეს ძალიან კარგად მომზადებული ოპერაცია იყო.

ახლა შევხედოთ ამ ოპერაციის შედეგებს. გაბუნია ორ წუთზე ნაკლები დრო საუბრობდა. „რუსთავი-2“ ამის გამო ჯერ ისევ თავდასხმის ქვეშაა. კომპანიას მაუწყებლობის შეწყვეტაც კი მოუწია რამდენიმე საათით. „რუსთავი-2“ ოპოზიციური არხია, რომელიც საქართველოს მთავრობას მკაცრად აკრიტიკებს. ამ ორი წუთის გამო ბევრს გაუჩნდა იდეა, რომ „რუსთავი-2“ გაანეიტრალოს, იყო იმაზე საუბარიც, რომ კომპანიისთვის მაუწყებლობის ლიცენზია ჩამოერთვათ. ამასთან, საქართველოს ყველა ლიდერმა — პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა — პუტინს ბოდიში მოუხადა. ერთი წამით ამაზე დავფიქრდეთ — ბატონი პუტინი საქართველოს თავს დაესხა, მოკლა საქართველოს 500-ზე მეტი მოქალაქე, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირი. მან დაბომბა საქართველოს მთელი ტერიტორია. მოახდინა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია. აცხადებს, რომ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. აწარმოებს ბორდერიზაციას, ყოველთვე ამ ტერიტორიებზე ვიღაცას იტაცებენ ან კლავენ. და რა ვნახეთ გაბუნიას გინების შემდეგ? საქართველოს ყველა ლიდერი მას ბოდიშს უხდის, ადამიანს, რომელმაც ეს ყველაფერი გააკეთა. აი, რა იყო ყველაზე დიდი ეფექტი ამ სპეციალური ოპერაციის. ეს საოცარი შედეგია.

ამ კონტექსტში ისიც უნდა ვთქვათ, რომ კიდევ ერთი შედეგი — ბევრ სხვა შედეგს შორის — ის არის, რომ ბატონი გავრილოვის ამბის შემდეგ მოსახლეობის ქუჩაში გამოსვლამ მთავრობას დაანახა, თუ როგორი დაუცველია.

კიდევ ერთს დავამატებ, რომ ამ ინციდენტს რუსეთის მხრიდან კარგად ორკესტრირებული რეაგირება მოჰყვა, რომლის დროსაც რუსი დეპუტატები გამოვიდნენ და აღშფოთებულებმა ზოგმა სანქციები მოითხოვა და ზოგმა სხვა მკაცრი ზომები. ბატონი პუტინი კი ბოლოს გამოვიდა და თქვა, რომ კარგით ახლა... ეს არ არის სერიოზული რეაქცია, რომ ის, ამ ყველაფერს, ყურადღებას არ აქცევს. ის გამოჩნდა, როგორც ნამდვილი ევროპელი, შემწყნარებელი, სულგრძელი ლიდერი. ამით მან ზედაპირულად მაინც შეცვალა დისკუსია რუსეთზე.

— ამ კონტექსტში, როცა ამბობთ, რომ ეს სპეციალური ოპერაცია იყო, ბოლომდე ვერ გავერკვიე კონკრეტულად ვის გულისხმობთ? ამ, ე.წ. ოპერაციის შედეგების პირველი ტალღა „რუსთავი-2“-ის და ოპოზიციის სასარგებლოდ წარიმართა, მთავრობა უხერხულ და სუსტ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შედეგების მეორე ტალღა კი არც ისე სახარბიელო იყო ოპოზიციისთვის, იმის გამო, რომ პუტინმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და პროპაგანდისტებს საშუალება მისცა, საქართველოზე დიდი დარტყმა მიეტანა. ამიტომაც ვკითხულობ — ვინ დაგეგმა ეს ოპერაცია?

— მე არ ვიცი, ვინაა ბატონი გაბუნია, როგორ მოხვდა ის „რუსთავი-2“-ში, ვისი გავლენის ქვეშ იყო ის, როცა ეს მონოლოგი წაიკითხა. ბოლო ორიოდე ათწლეულის განმავლობაში ხშირად ხდება ისეთი მოვლენები, როცა არც ისე მნიშვნელოვანი ადამიანები მნიშვნელოვან პროცესებს იწყებენ. ამის ერთი მაგალითი თვითონ ბატონი პუტინია. დღემდე უცნობია, თუ როგორ დაწინაურდა იმ პოზიციებზე ბატონი პუტინი, რომლებმაც ის პრეზიდენტობამდე მიიყვანა. ზედაპირულად, ეს თითქოს პრეზიდენტი ელცინი იყო, მაგრამ სინამდვილეში, ადამიანი, რომელიც მას მფარველობდა ვალენტინ იუმაშევია. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მისი სახელი რუსეთში თითქმის არსად ფიგურირებს. ასე რომ, არ ვიცი, ვინ დაგეგმა ეს ყველაფერი, მაგრამ ფაქტია, რომ ბატონი გაბუნიას საქციელს მნიშვნელოვანი პროცესების დაწყება მოჰყვა.

— თქვენ ახსენეთ რუსეთის დუმის დეპუტატების რეაქცია პუტინის შეურაცხყოფაზე. სანქციებით დამუქრება გასაკვირი არ იყო. მაგრამ ასევე გაჟღერდა ერთი აბსურდული მოთხოვნაც, მოხდეს გაბუნიას ექსტრადირება რუსეთში მის გასასამართლებლად. ეს უცნაური იმიტომაა, რომ ყველამ კარგად იცის — მათ შორის, იმ ადამიანებმაც, ვინც ამას ითხოვენ, რომ გაბუნიას რუსეთში არავინ გაგზავნის იმის გამო, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, არაეთიკურად მოიქცა. როგორ ახსნით ამ უსაფუძვლო მოთხოვნას, რომელიც ყველასთვის წინასწარვე გასაგებია, რომ არ შესრულდება?

— ეს საქართველოზე, ქართველ საზოგადოებაზე, საქართველოს მთავრობაზე ზეწოლის გაგრძელების კამპანიის ნაწილია. გავრილოვის საქციელი უბრალოდ „უბედური შემთხვევა“ იყო, ხოლო ის, რაც მის უგუნურ საქციელს მოჰყვა, არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ შემთხვევით ხდება. ეს ძალიან სერიოზული კამპანიაა, რომელშიც რუსეთის პირველი პირი პირადად მონაწილეობს. ეს, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, რომ შემთხვევით აღარაფერი ხდება.

რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო კრემლის, პირადად პუტინის რადარზე აღარ ჩანდა. ის თითქოს მივიწყებული იყო და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ბორდერიზაციას და სხვა ქმედებებს აგრძელებდა, რუსული მხარეც აქტიურად ცდილობდა, საქართველოზე დიდი ყურადღება არ გაემახვილებინა. და ახლა, უცებ რას ვხედავთ, რომ ბატონი პუტინი პირადად აკეთებს საქმეში ინტერვენციას და თან რაზე? გაბუნიას საქმეზე!

ეს ყველაფერი გამოიყურება, როგორც რუსეთ-საქართველოს ხანგრძლივი ომის ერთ-ერთი თავი. ამ ომს ბევრი ელემენტი აქვს — 2008, 2004, 1990-იანების დასაწყისში ეს სამხედრო მეთოდები იყო, მოგვიანებით ვხედავთ ბრძოლის მეთოდებს ეკონომიკაში, ენერგეტიკაში, არის ჯაშუშობის, საინფორმაციო ოპერაციების და სხვა შემთხვევები. ახლა ვხედავთ, ძირითადად, საინფორმაციო ომის მეთოდებს. ეს გაგრძელდება.

— რით შეიძლება ეს გაგრძელდეს? თუ საქმეში პუტინი ერევა, რას ცვლის ეს? შეიძლება, საინფორმაციო ომს ლიმიტირებული სამხედრო ოპერაცია მოჰყვეს?

— ერთი ელემენტი, რაც კრემლს და ბატონ პუტინს აწუხებს, ისაა, რომ ადამიანი, რომელიც საქართველოს მთავრობის უკან დგას, მხარდაჭერას კარგავს და ეს ძალიან ცხადია. ამის ბევრი ინდიკატორი არსებობს. ბატონი ივანიშვილი ბატონი პუტინისთვის უკეთესი პარტნიორია, ვიდრე სააკაშვილი იყო ან ვინმე სხვა შეიძლება იყოს. კრემლი არ შეწუხებულა საქართველოში „ქართული ოცნების“ მმართველობით. მაგრამ ახლა, როცა პარტია მხარდაჭერას კარგავს, პუტინი ნერვიულობს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ვითარება შეიძლება, კიდევ უფრო შეიცვალოს და პარლამენტში სულ სხვა ძალები მოვიდნენ. კრემლში ამაზე ფიქრობენ.

— საინტერესოა, ამას რომ ამბობთ. „ქართული ოცნების“ მთავრობა ინარჩუნებს დასავლურ ორიენტაციას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება კვლავ ქვეყნის პრიორიტეტია. ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთზე დამოკიდებულება და რუსული ინვესტიციები გაიზარდა, თუმცა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, მთავარობა არაფერს აკეთებს ისეთს, რაც ღია პრო-რუსული პოლიტიკის წარმოების ნიშნები იქნებოდა. როგორ ხსნით იმას, რომ პუტინს „ქართული ოცნების“ მთავრობა მოსწონს?

— პოლიტიკაში ფიქრობ იმაზე, თუ რა არის შესაძლებელი. ბოლომდე სასურველი შედეგი ძალიან რთული მისაღწევია, მათ შორის, კრემლისთვისაც. თუმცა ყოველთვის არის არჩევანი, მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში ეს არის ორი ძირითადი ძალა „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. კრემლისთვის პირველი უფრო მისაღებია, ვიდრე მეორე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრემლს „ქართული ოცნება“ მოსწონს, მაგრამ ნიშნავს იმას, რომ მასთან მუშაობა ურჩევნია. ამიტომაც, კრემლს ურჩევნია, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ დარჩეს და როცა ჩნდება იმის ნიშნები, რომ ეს ძალა მხარდაჭერას კარგავს, ბატონ პუტინს დისკომფორტი ექმნება. არავის ჰგონია, რომ „ქართული ოცნება“ საქართველოს რუსეთისკენ მიაქანებს, მაგრამ ის უდავოდ უფრო კომფორტული პარტნიორია რუსეთისთვის, ვიდრე ვინმე სხვა.

ესაუბრა

ᲘᲐ ᲛᲔᲣᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲛᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ-ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲜᲯᲔᲑᲔᲚᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲔᲜᲐ...

„ᲓᲔᲓᲐ ᲔᲜᲐ“ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲪᲝᲕᲝᲗ ᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠᲐᲐ ᲨᲔᲛᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ“

ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ **იაკობ გოგებაშვილისეული „დედა ენის“ დაბრუნებამ უკვე გააჩინა კითხვები, ეს არის პოპულიზმი თუ რეალური საჭიროება?!**

„დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისთვის“ იაკობ გოგებაშვილის მიერ 1876 წელს შეიქმნა და ავტორის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოიცა, რადგან მის ავტორს გამუდმებით შეჰქონდა შესწორებები ამ სახელმძღვანელოში.

დღეს უამრავი ქართველი თანხმდება, რომ გოგებაშვილისეულ „დედა ენაზე“ გაზრდილი ბავშვი განსაკუთრებული ღირებულებითა და პატრიოტიზმით გამოირჩევა. არც ის არის გასაკვირი, რომ გოგებაშვილის „დედა ენა“ უალტერნატივოა, რადგან მის შემდგომ ვერც ერთი ავტორი ისე ახლოს ვერ მივიდა ბავშვის სულთან, როგორც იაკობი, მაგრამ ცალკეულ ადამიანებს არ ესმით, 21-ე საუკუნეში რატომ უნდა ვასწავლოთ ბავშვს „დედა ენა“ არქაული სახელმძღვანელოთი?!

ლევან ბერძენიშვილი სკოლებში „დედა ენის“ დაბრუნების გამო შეშფოთებულია. ის მიიჩნევს, რომ ამ სფეროს მესვეურნი მავნებლობას სჩადიან, როცა სკოლაში გოგებაშვილის „დედა ენას“ აბრუნებენ, ვინაიდან ენა ყოველდღიურად იცვლება და ბავშვმა თანამედროვე ენა უნდა ისწავლოს.

სერგო რატიანის აზრით, სკოლებში „დედა ენის“ შეტანა ნიშნავს, რომ ჩვენმა ბავშვებმა უნდა დაიწყონ ტყუილით, რადგან პირველკლასელებს ეუბნებიან, ეს წიგნი დაიწერა ასი წლის წინათ სინამდვილეში კი, ბავშვებისთვის შეთავაზებული დღევანდელი წიგნი შეცვლილია. ამიტომ რატიანი მოითხოვს „დედა ენის“ ელექტრონული ვერსიის გაკეთებას, რომლითაც ბავშვებს სიმბოლურად ეცოდინებათ, როგორი იყო პირველი „დედა ენა“.

განათლების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი აცხადებს, რომ სკოლებში სხვადასხვა ავტორის 6-მდე „დედა ენის“ სახელმძღვანელო დარჩება და, პარალელურად, პედაგოგებს გოგებაშვილის „დედა ენით“ სწავლებაც შეეძლებათ. მისი თქმით, პედაგოგები „დედა ენით“ ისარგებლებენ, როგორც ძირითადი, ან დამხმარე რესურსის სახით.

რას ნიშნავს „დედა ენის“ სკოლებში დაბრუნება, ამის შესახებ FOR.GE სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარეს **გიორგი ალიბეგაშვილს** ესაუბრა.

— ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲔᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲡ�წᲐᲕᲚᲝᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲑᲠᲛᲐᲕᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲙᲛᲐᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲛᲣᲜᲯᲔᲑᲐᲡ ᲣᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ.

— თქვენ მიერ დასმულ კითხვას შემდეგნაირად ვუპასუხებ: ჯერ ერთი, აღდგა ისტორიული სამართლიანობა. მოგეხსენებათ, პირველი კლასის ენისა და წერა-კითხვის სასწავლებელი ყველა სახელმძღვანელო დაფუძნებული იყო იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ და არა მხოლოდ დაფუძნებული, არამედ იაკობ გოგებაშვილის მიერ შემოღებული სახელდებისა და სახელწოდების გამოყენებაც ხდებოდა. მეორე საკითხია, რომ სიტყვები, რომელის მიხედვითაც ბავშვი შეიწავლის წერა-კითხვას, ქართული წიაღიდან წამოსული სიტყვებია. როდესაც კომისიაში ვმუშაობდი, რა თქმა უნდა, მეც მქონდა კითხვები, ხომ არ ჯობდა ცალკეული სიტყვები თანამედროვე სიტყვებით ჩაგვენაცვლებინა?! ვთქვათ, სიტყვა „ჯარა“, რომლითაც ბავშვი სწავლობს „ჯ“ ასოს, ხომ არ ჯობს, რაღაც თანამედროვე ისეთი სიტყვით ჩავანაცვლოთ, რომელიც ბავშვისთვის გასაგები იქნება, ოღონდ, რა თქმა უნდა, ქართული სიტყვით და არა საერთაშორისო უცხოური სიტყვით, თუმცა საბოლოოდ ასე შევთანხმდით, რაკიღა „დედა ენა“ არის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ჩვენ უნდა დავტოვოთ ის ასოები და პრინციპები, რომელიც იაკობ გოგებაშვილის მიერაა შემოღებული. მით უმეტეს, რომ იაკობს ძალიან კარგად ჰქონდა შესწავლილი ამ ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია, ენის ცოდნის დონე. ეს სახელმძღვანელო, რომელშიც მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი და ძირითადად იაკობ გოგებაშვილის ტექსტს ითვალისწინებს, როცა გამოვა სამსჯავროზე, მას მშობლები, მასწავლებელები გაეცნობიან. რა თქმა უნდა, მათგან გარკვეული მოსაზრებების გაზიარება შესაძლებელია, თუმცა იაკობ გოგებაშვილის 1912 წლის მიხედვით რედაქტირებული „დედა ენის“ სახელმძღვანელო არ არის სკოლებში ერთადერთი, მას აქვს ალტერნატიული ვარიანტები.

— სკოლა თვითონ აკეთებს არჩევანს?

— დიახ, პედაგოგიური საბჭო როდესაც შეიკრიბება, მათ შორის, დაწყებითი კლასის მასწავლებლები, ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელი სახელმძღვანელო შეარჩიონ. ჩემთვის გაუგებარია ზოგიერთების დამოკიდებულება, რომ გინდა თუ არა, უკან გვაბრუნებენ, ან წინ მივყავართ. გინდ უკან წადი, გინდ წინ წადი, ოღონდ შენი არჩევანის მიხედვით. მინდა, გაითვალისწინოთ, რომ დიასპორებშიც დიდი მოთხოვნილებაა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიმართ. თუ ისინი გადაწყვეტენ, თავიანთ შვილებს, მომავალ თაობას ასწავლონ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით, მათ შეუძლიათ ასწავლონ სწორედ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი. არის სხვა სახელმძღვანელოებიც, არც ერთ გამომცემლობას აკრძალული არა აქვს, დაბეჭდოს სხვა სახელმძღვანელოები. არჩევანის საშუალება უნდა მიეცეთ ადამიანებს. თუ დაიბადება ახალი გოგებაშვილი, რომელიც უკეთეს სახელმძღვანელოს შექმნის, ამის წინააღმდეგიც არავინაა. ცხოვრება ვითარდება, ახალი ტექნოლოგიები და ახალი პრინციპებია, მეთოდოლოგია და პედაგოგიური მიდგომა იცვლება. ასე რომ, არჩევანის საშუალება ყველას აქვს.

—თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ იაკობ გოგებაშვილის მთავარი პრინციპი იყო ცვლილებები, მან 30-ჯერ მაინც შეასწორა საკუთარი „დედა ენა“. რას იტყვით „დედა ენის“ ელექტრონული ვერსიის შესახებ?

— სხვათა შორის, იაკობ გოგებაშვილი ძალიან საინტერესო ტერმინს ამბობს, „მერე უნდა დაექვემდებაროს ეს „დედა ენა“ „გასაუკეთესოებასო“... ანუ ის ცვლილებების წინააღმდეგი არ ყოფილა. უამრავი გამოცემაა გოგებაშვილის სიცოცხლეში არსებული ტექსტების და ბოლოს 1912 წლის ტექსტისა. მათი მოპოვება პრობლემა არ არის. რაც შეეხება „დედა ენის“ ელექტრონულ ვერსიას, მე არანაირი წიგნის ელექტრონული ვერსიის წინააღმდეგი არ ვარ, გინდა ეს იყოს „ვეფხისტყაოსანი“. ელექტრონული ვერსიაც უნდა არსებობდეს და დაბეჭდილი სახელმძღვნელოც. ძალიან საინტერესო იქნება, სკოლებში ელეტრონული ვერსიაც შევიდეს და ბავშვებმა ნახონ, როგორი იყო პირველი „დედა ენა“.

— გოგებაშვილისეული „დედა ენა“ ქართველებისთვის შეუცვლელია, მაგრამ მსოფლიოში თუ არსებობს პრეცედენტი, რომ ძველად დაწერილი უნიკალური წიგნი ისწავლებოდეს დაწყებით კლასებში? თუ ხდება მისი ადაპტაცია თანამედროვე ენაზე?

— რა თქმა უნდა, ხდება ადაპტაცია. ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო, თუ არ ვცდები, დაახლოებით 1960 წელს პერუში ჩატარდა დედაენების გამოფენა-შეფასება და იქ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენამ“ დაიკავა პირველი ადგილი. ასე რომ, ეს მარადიული ღირებულებებია, რომელთაც ჩვენ ძალიან დიდი ანგარიში უნდა გავუწიოთ. ექსპერიმენტების მომხრე არ ვარ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ალტერნატიული სახელმძღვნელოების არსებობა მთელ მსოფლიოშია დაშვებული. დანარჩენი, ჩვენი პედაგოგიური საზოგადოებისთვის მიგვინდია, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, პრობლემებიც, თუ როგორი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდნენ იაკობ გოგებაშვილის მიხედვით წერა-კითხვის სწავლებისას და, კი ბატონო, ჩვენც გავითვალისწინებთ იმას, რაც არგუმენტირებული და დასაბუთებული იქნება.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ: ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲫᲚᲘᲝᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ **განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი გახდება ევროპული ხარისხის რეესტრის წევრი და ეს არის ძალიან დიდი გამარჯვება,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განათლების სამინისტროში განაცხადა.

„ევროპული ხარისხის რეესტრის წევრობა ასევე ნიშნავს, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემული დიპლომები იქნება სრულად აღიარებული ევროპულ ოჯახში. ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა არის ევროკავშირის წევრი და მსურს, ყველას მოგილოცოთ ეს ძალიან დიდი გამარჯვების ნაბიჯი, რომელიც ჩვენ ყველამ ერთად გადავდგით. ჩვენ გვაქვს ეროვნული იდეა და რაც არის განათლება. ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს არის ერთადერთი გარანტი იმისა, რომ საქართველო 21-ე საუკუნეში იქნება ერთიანი, ძლიერი და წარმატებული ქვეყანა. შესაბამისად, თითოეული ასეთი ნაბიჯი გვაახლოებს ჩვენს სანუკვარ მიზანთან. ორიოდე დღის წინათ ჩვენ გავხდით ამავე დროს ევრაქსესის წევრი, რომელიც არის მთავარი პლატფორმა მეცნიერებისა და ინოვაციებისთვის ევროკავშირში. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ჩვენი მეცნიერებისთვის, რომ თითოეული მათგანი იყოს ჩართული ყველა იმ ისტორიული მნიშვნელობის პროექტში, რომელიც ხორციელდება ევროკავშირში და ევროპულ ოჯახში. ამავე დროს ეს არის ერთმნიშვნელოვანი აღიარება ჩვენი ევროპული პარტნიორების მხრიდან, რომ რეფორმებს, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ, მათ აქვთ სრული მხარდაჭერა ჩვენი მეგობრების მხრიდან“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.



რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

629
იმისთვის, რომ გედნიერი გახდეს, ზოგიერთს მარტო გედნიერება არა ჰყოფნის.

630
გოროტმოქმედებს ტრანსპარანტი მოჰქონდათ: „ნუ იტანჯავთ სინდისს, მშვიდად დააძინეთ!“

631
მაიმუნები რაც უფრო გვიან იქცეოდნენ ადამიანებად, მით უფრო ნაკლები ადამიანის სისხლი დაიღვრებოდა.

632
ისეთ ძველისძველ ჭეშმარიტებებს ვამბობ, რომ კაცობრიობას ისინი უკვე აღარ ახსოვს.

633
ქონდრისპაცებს მდაბლად უნდა დაუკრა თავი.

634
ტაკიმასხარას განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა გრძანებელთაგან გოძებული. ვინც თავს მგრძანებლად არა გრძნობდა, იმ უფლებებს ვერ უბოძებდა ტაკიმასხარას.

635
აზროვნების პროდუქცია აუდის თუ არა მოსახლეობის ნამატს?

636
ვერ წარმომიდგენია, რომ ქვეყნის დასასრული წინ უსწრებდეს სიმართლის ზეიმს.

637
ჰერმაფროდიტებსა და საჭურისებს ნუ გადააწყვეტინებთ მოჭარბებულობისა და დაუკმაყოფილებლობის პრობლემებს.

638
ზევით რომ ამოფოფხდე, ფრთები უნდა დაკეცო.

639
ძარცვა-გლეჯაში უდანაშაულოებს აქვთ თუ არა ნაძარცვის განაწილებაში მონაწილეობის უფლება?

640
შეუძლია თუ არა ადამიანს, რომ გოროტება აგვარიდოს? შეუძლია. ერთხელ, მახსოვს, მზერა ამარიდა, და დროულად ვუშველე თავს.

641
წყაროს რომ მივაღწიოთ, წყალაღმა ცურვაა საჭირო.

642
გაგერილია? ალბათ, უხერხემლოა.

643
ჩამოუყალიბებელი ადამიანებიც იხრწნებიან.

644
უკბილო ტირანების გაცინება აკრძალულია.

645
გახსოვდეთ: ადამიანს სხვა არჩევანი არა აქვს – ადამიანი უნდა იყოს!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-131, 135, 139, 142-144

646
ინტელექტის სამყაროს ორი ძალა ახასიათებს: სიზუსტე და უაზრობა. ამოცანა: არ დავუშვათ ჰიბრიდის, ანუ აბსოლუტურად ზუსტი უაზრობის გაჩენა.

647
ადამიანები ჯერაც რატომ არ გამხდარან კაციჭამიები? თუმცაღა, არის კულინარიის რაღაც პროგრესის იმედი.

648
თუმცა კაცთმოყვარეობა წინ მიდის. მკვლელებს სულ უფრო ჰუმანურად სჯიან.

649
ვისაც სძინავს და თავის თავს ლომგულს ხედავს, დაე, ძლიერად ნუ ხვრინავს.

650
ყველაფერს ერთ ტომარაში ნუ ჰყრი, ვეღარ ასწევ.

651
დროს ნუ ჩამორჩები, თორემ იმათ აწყენინებ, ვინც იმას მიაჭენებს.

652

დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

დასკვნა – ძნელი დასაწყისია.

653
ადამიანი რკინაა. ამიტომ არის, რომ ხან ბორკილს უცხო სხეულად არ აღიქვამს.

654
ზოგიერთები სხვებზე მაღლები იყვნენ მთელი თავით, რომელიც მოაჭრეს.

655
ძაღლივით ემსახურებოდა; და აკი ჩააძაღლეს კიდეც.

656
ვინც დიდი კაცის ნასუფრალით ცხოვრობს, ხან შეიძლება რომ ვინმე მოქეიფეც ერგოს.

657
მარიონეტები ამაოდ ოცნებობენ ჰამლეტის მონოლოგზე.

658
იმაზე ვერაფერს გეტყვი. მხოლოდ ტიტველი მყავს ნანახი.

659
ზოგიერთნი მარცხენა და მარჯვენა თვალით ზუსტად ერთსა და იმავეს ხედავენ და მიაჩნიათ, რომ ეს ობიექტივიზმია.

660
სულ უფრო ახლოს მივდივართ ღვთის მეცნიერულ აღმოჩენასთან. ღმერთო, რა გელის მაშინ!

661
ძნელია ნადირის მოფერება, როცა ადამიანის ტყავში არის გახვეული.



662
გზის მაჩვენებლებს შეუძლიათ, რომ შარაგზაც ლაბირინთად აქციონ.

663
ვინც ქვეყნის შექმნას ვერ ჩასწვდენია, არც საზოგადოების გასაჭირი ესმის.

664
ჩვეულებრივ უკვე საბოლოო რედაქცია გვესმის ამოოხვრისა.

665
მოკლედ უნდა განვმარტავდეთ, რათა ფრაზა იმავე ეპოქაში დავამთავროთ.

666
ოჰ, ეს ალტრუიზმი! ზოგჯერ დასცხებდი კიდეც ხელს მაგიდას, მაგრამ ბოლო წუთს ამჩნევ, რომ ვიღაცას დესერტს დაუქცევდი.

667
არიან დალტონიკები, ფერებს ვერ არჩევენ, მაგრამ სამაგიეროდ ელფერში ერკვევიან.

668
აი, სასაცილო ის იქნება, თუ მეორედ მოსვლის წინ ქვეყნის დაქცევას ვერ მოასწრებენ!

669
გონება გახსნილი ჰქონდა, სამწუხაროდ, ყურთამდე.

670
თავის სიტყვებში ეპოქა მოამწყვდია, პოეტზე ლაპარაკობთ? არა, მოსამართლეზე.

671
მესიებიც მოუთმენლად ელიან თავიანთ მოსვლას.

672
ქვეყნიერება არ არსებობს, ის ყოველწუთიერად იქმნება კვლავ. ხანგრძლივობის შთაბეჭდილებას გამონაგონის ნაკლებობა წარმოშობს.

673
თავისი დროის სინდისი იყო, თვითონ კი სინდისი არ ჰქონდა.

674
თუ ერთი ნამდვილი ტაკიმასხარა მასხრად იგდებს მეორე ნამდვილ ტაკიმასხარას, მაშასადამე, ერთ-ერთი არანამდვილია.

675
ის უფლებებს ისე მკაცრად იცავს, რომ ვეღარავის გამოუყენებია.

676
სიზმარში ერთხელ ხომ მაინც შეიძლება, რომ თავს ჩვენი პიროვნების გაორების ნება მივცეთ. ერთ ჩვენგანს ვინც უნდა, ის გახდება, ხოლო მეორე საჭირო დროს გამოგვაღვიძებს.

677
მათრახიც ამოიყრის ყლორტებს, თუ ხელსაყრელ ნიადაგში მოხვდა.

678
ორფევსი მარტო ევრიდიკეს საძებნელად როდი ჩადის ჯოჯოხეთში.

(გაგრძელება იქნება)

ღია კარის მტვრევა

20 ივნისის ცნობილი ამბების შემდეგ, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი, ე.წ. „პერფორმანსების“ წერამ აიტანა. „პერფორმანსები“, მათ შორის ცალ თვალზე აფარებული ხელი, თითქმის ენდემური გახდა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვერ გასცდა „პერფორმანსების“ მოტრფიალე მიკროსოციუმის ფარგლებს.

ერთი შეხედვით, ამაში ცუდი არც არაფერია, პირიქით, „პერფორმანსები“ სწორედაც რომ ხაზს უსვამს ჩვენი საზოგადოების კულტურისა და ცნობიერების მოზაიკურობასა და პოლიფონიას. ბოლოს და ბოლოს, ეს დემოკრატიის ხარისხის ინდიკატორიც გახლავთ, რომლის ერთ-ერთი მთავარი საზომი აზრთა პლურალიზმი და მათი გამოხატვა-გავრცელების თავისუფლებაა. ჩვენთან კი, თავისუფლების დროშით საზოგადოების, ასე ვთქვათ, „პერფორმანსული“ ნაწილი ლამის ყველაფრისთვის მზად არის.

1990-იან წლებში ევროპაში უკვე ფეხმოკიდებულმა ე.წ. „წინააღმდეგობის პერფორმანსმა“ საქართველოშიც შემოაღწია და მისი პირველი შემსრულებლებიც სწორედ ის ადამიანები და ორგანიზაციები გახდნენ, რომლებიც 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ ავანგარდში იდგნენ. „პერფორმანსი“ მათ წარმოდგენაში უკავშირდება იმ მორალური უპირატესობის გამოხატვას, რომელიც მათ თითქოს გააჩნიათ იმ ხალხის მიმართ, ვის წინააღმდეგაც ეს „პერფორმანსი“ ეწყობა.

უკვე კარგა ხანია, გახუნდა „პერფორმანსის“ როგორც სამოქალაქო აქტივობის ტრაფარეტული დახასიათება, რომელსაც მისი ავტორები ტრენინგებზე დაზეპირებული ფრაზებით აგიხსნიან, რომ ეს პრობლემის აქტუალიზაციისა და ცნობიერების ამაღლების საშუალებაა. ამას გარდა, „პერფორმანსში“ მონაწილეობა თვითდამკვიდრების განცდას გიქმნის, თუნდაც ხანმოკლე დროით ხილვადობას გმატებს და ყურადღების ობიექტად გაქცევს. მოცეკვავემ **თეა დარჩიამ** სულ რაღაც ერთ დღეში საკუთარ თავზე ინტერნეტ საზოგადოება აალაპარაკა, როდესაც მოწაფეებთან ერთად ცალ თვალზე ხელაფარებულმა იცეკვა. თუმცა უცნობი დარჩა, რამდენად ნებაყოფლობითი იყო არასრულწლოვან მოწაფეთა მონაწილეობა „პერფორმანსში“.

„პერფორმანსები“, რა თქმა უნდა, არის სამოქალაქო პოზიციის გამოხატვის და სამოქალაქო პროტესტის საყოველთაოდ აღიარებული ერთ-ერთი ფორმა. თუმცა, როდესაც „ძართულ პერფორმანსებს“ აკვირდები, გრჩება შთაბეჭდილება, რომ ხშირად ეს „პერფორმანსები“ ღია კარის მტვრევაა, ხოლო მათი მეშვეობით გამოხატული პროტესტი – უბრალოდ თვითმიზანი. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ამ ნაწილისთვის „პერფორმანსებით“ გატაცება სუბკულტურა და ერთგვარი მოდაც არის.

„პერფორმანსების“ ორგანიზატორები და შემსრულებლები, ძირითადად, ერთი და იგივე ხალხი და ერთი მიკროსოციუმის წარმომადგენლები არიან. ამ მიკროსოციუმს ხშირად **„პასიონარულ უმცირესობასაც“** უწოდებენ. ეს არის ხალხი, რომელთაც დინჯი ობივატელისგან განსხვავებით შეუძლიათ საკუთარ თავში მეტი ენერგიის აბსორბირება და ამ ენერგიის მიზანმიმართულ ქმედებებში გარდასახვა მათთვის მიღებელი გარემოს შესაცვლელად. „პერფორმანსელები“ აშკარად გამოირჩევიან ჩვენი საზოგადოების „ენერგოდეფიციტური“ ნაწილის ფონზე, რომლებსაც ყოველთვის ურჩევნიათ მოვლენებს დამკვირვებლის მდგომარეობიდან უყურონ. ამის თვალსაჩინო მაგალითი დღეს ჩვენ თვალწინ მიმდინარე მოვლენებია, როდესაც საზოგადოებრივი თუ საინფორმაციო სივრცე სწორედ პასიონარ „პერფორმანსელებს“ აქვთ დაპყრობილი.

რა თქმა უნდა, მხოლოდ „პერფორმანსებით“ გატაცება არ არის ამ მიკროსოციუმის ერთადერთი და მთავარი მახასიათებელი. „„პერფორმანსელები“ წარმოადგენენ საზოგადოებაში გამოზრდილ ახალ პოპულაციას. აქვთ რა კარგი დაფინანსება, თვითორგანიზების საკმაოდ განვითარებული უნარი და შესრულების ტექნიკის კარგი ცოდნა, ისინი ცდილობენ ახალი სოციუმის ბირთვი გახდნენ და მათი იდეოლოგიები და ღირებულებები გარკვეული დროის შემდეგ უკვე დომინანტად გახდონ. ისინი მუდმივად ცდილობენ პასიური უმრავლესობისთვის მეტ-ნაკლებად კომფორტული ან შეჩვეული ცხოვრების წყობის დანგრევას, ისე რომ არც აინტერესებთ მათი აზრი და წუხილები. სწორედ ამის გამო მოდიან ისინი ცნობიერ, ღირებულებით და მსოფლმხედველურ ანტაგონიზმში დანარჩენ საზოგადოებასთან. „პერფორმანსები“ კი ამ მიზნების რეალიზების ინსტრუმენტი ხდება და როგორც ამჟამინდელი მოვლენები გვიჩვენებს, არცთუ უმნიშვნელო.

რაც უფრო კრეატიულია „პერფორმანსი“ მით უფრო მეტად ახერხებენ საზოგადოების თვალში ფიქტიური დრამატული გარემოს შექმნას, დამკვიდრებული ტრადიციების და სოციალური ქცევის ნორმების სატირიზებას და ა.შ. მაშინ, როდესაც „პერფორმანსის“ ექსტაზით აღტყინებული ახალგაზრდობა აქტიურად ერთვება ამ პროცესში. სცენის უკან მდგომი რეჟისორები ფანტაზიასა და რესურსს არ იშურებენ, რომ გარეგნულად სოციალური „პერფორმანსი“ მდორედ გადაიყვანონ პოლიტიკურ კონტექსტში.

ვინაიდან პერფორმანსზე დახარჯული ადამიანური თუ სხვა რესურსი დასახული მიზნის უცილობლად აღსრულებას მოითხოვს, სხვაგვარად „პერფორმანსი“ ჰაერის შეზანზარებაა მხოლოდ, „პერფორმანსელები“, შესაძლოა, გარკვეული მომენტიდან აგრესიულ მასად გადაიქცნენ. „პერფომანსში“ განსხეულებული სამოქალაქო პროტესტი, რომელიც გარკვეულ დრომდე არაძალადობრივ ხასიათს ატარებს, შესაძლოა, საწვავ-საპოხი მასალა აღმოჩნდეს იმისათვის, რომ „პერფორმანსით“ დამუხტული პასიური უმრავლესობის ნაწილი მაინც პროტესტის უფრო აქტიური ფორმებისთვის შემზადდეს. საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ადამიანი, რომლებსაც სამოქალაქო აქტივობის, მათ შორის „პერფორმანსების“, ლოგიკურ ფინალად რევოლუცია მიაჩნიათ.

„პერფორმანსების“ მოჩვენებითი მრავალფეროვნება და ფსევდოკრეატიულობა მათი შემსრულებლებისა და რეჟისორების ფასეულობათა სიღატაკესა და ყალბ პათოსზე მიუთითებს. იქნებ სწორედ ამიტომაც ეს „პერფორმანსები“ თავის „ნაციონალური თავისებურებებით“ ვერ ავსებს იმ გაუცხოებას, რაც მათ ავტორებსა და ტრადიციონალისტურ-კონსერვატულად განწყობილ დანარჩენ საზოგადოებას შორის არსებობს. საზოგადოების უმრავლესობა შესაძლოა, ამ „პერფორმანსომანიას“ მისდამი გამოწვევადაც აფასებდეს, რადგანაც მასში ვერ ხედავს იმას, რისი თანამესაკუთრეც და თანამონაწილეც შეიძლება გახდეს. ეს მიუღებლობა კი სულ უფრო იზრდება, როდესაც „პერფორმანსების“ უკან სულ უფრო მკაფიოდ მოჩანს პოლიტიკური მდგენელი და საზოგადოებისთვის მიუღებელი რეჟისორების აჩრდილები.

ზაალ ანვაშვარიძე

„ოკუპაცია“ რუსულად

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც გამარტივდება რუსული პასპორტების გაცემის პროცედურები უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონის მოსახლეობისთვის. ინფორმაციას რუსული სააგენტო „რია“ ავრცელებს.

ბრძანების მიხედვით, გამარტივებული პროცედურები შეეხებათ იმ მოქალაქეებს, რომელებიც ამ რეგიონებში 2014 წლის აპრილამდე ცხოვრობდნენ. ბრძანება ძალაში შევიდა 2019 წლის 17 ივლისიდან. მანამდე პუტინმა რუსული პასპორტების გაცემა გაამარტივა რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის მოსახლეობისთვისაც.

უკრაინაში კომუნისტებისა და ნაცისტების რეჟიმები გათანაბრდა

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ კომუნისტებისა და ნაცისტების რეჟიმები გაათანაბრა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომუნისტური და ნაცისტური რეჟიმები დანაშაულებრივი არსით ერთნაირები არიან და ერთსა და იმავე რეპრესიულ მეთოდებს იყენებდნენ.

16 ივლისს უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ უკრაინის დეკომუნიზაციის შესახებ კანონი კონსტიტუციასთან შესაბამისად ცნო, ხოლო გადაწყვეტილების განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ „კომუნისტური და ნაცისტური რეჟიმები დანაშაულებრივი არსით ერთნაირი იყო, მათ მიერ პოლიტიკური რეპრესიებისთვის გამოყენებული მეთოდები კი ერთი და იგივე“.

„ორივე რეჟიმმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ადამიანის უფლებებს. რადგან მათი არსებობის განმავლობაში ახორციელებდნენ საზოგადოების ტოტალურ კონტროლს, ასევე პოლიტიკურად მოტივირებულ დევნას და რეპრესიებს, არ იცავდნენ საერთაშორისო ვალდებულებებს, არღვევდნენ მათივე მიღებულ კონსტიტუციას და კანონებს. შედეგად კი, უკრაინელების რამდენიმე თაობა ყოვლისმომცველ შიშსა და თავისუფლებისგან დაცლილ გარემოში ცხოვრობდა“, – ნათქვამია უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.



სასამართლოში ასევე აღნიშნავენ, რომ **„კომუნისტურმა რეჟიმმა საბჭოთა კავშირში არაერთხელ მოახდინა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში შეიარაღებული შეჭრის ინიცირება“.**

სასამართლო მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ნორმა, რომელიც გმობს ნაცისტურ და კომუნისტურ რეჟიმებს და კრძალავს მათი სიმბოლიკის გამოყენებას, ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

უკრაინის დეკომუნიზაციის შესახებ კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება 46-მა უკრაინელმა დეპუტატმა მოითხოვა. მათი უმრავლესობა „ოპოზიციური ბლოკის“ წევრია. ისინი ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული კანონი სიტყვის თავისუფლების, ცენზურის დაუშვებლობის, თავისუფალი შეკრების და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების შესახებ კანონის დარღვევას წარმოადგენდა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ მათი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდვა შესაძლებელია ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებით“.

ლიტერატურული ამბავი

კონან დოილისა და შერლოკ ჰოლმსის ძნელი „მამაშვილობა“

საქვეყნოდ ცნობილი კერძო დეტექტივის შერლოკ ჰოლმსისა და მისი ერთგული მეგობრის დოქტორ ჯეიმს ვათსონის თავგადასავლების შესახებ მოთხრობების უკვდავი სერიის ავტორს არტურ კონან დოილს დაბადებიდან 160 წელს შეუსრულდა.

შერლოკ ჰოლმსი და დოქტორი ვათსონი, რომლებმაც უკდავყვეს თავიანთი ლიტერატურული მამის სახელი, გინესის რეკორდების წიგნში არიან შესული, როგორც ის გმირები, რომელთა შესახებ ყველაზე მეტი – 210 კინოფილმი და სერიალია გადაღებული! მათი წყალობით ხელმოკლე ექიმი არტურ კონან დოილი თავისი დროის მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად მწერლად იქცა. ამიტომაც ახლა თითქოს დაუჯერებელია, რომ მწერალმა იმდენად შეიძულა თავისი წიგნისეული პირმშო, რომ ერთხელაც მისი მოკვლა დააპირა და იგი შვეიცარიაში რაიჰენბახის ჩანჩქერის კლდიდან უფსკრულში „გადაჩეხა“. 1988 წელს კი ამ ადგილას შერლოკ ჰოლმსს პირველი ძეგლი დაუდგეს...

მომავალმა მწერალმა ედინბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა, მისი მეგობრები გახდნენ მომავალში საქვეყნოდ ცნობილი მწერლები **ჯეიმს ბარი** და **რობერტ ლუის სტივენსონი** – პირველმა მათგანმა **პიტერ პენზე ზღაპრული ციკლით,** მეორემ კი **„განძთა კუნძულით“** და **„შავი ისრით“** გაითქვეს სახელი. პირველი მოთხრობა – **„სესასის ველის საიდუმლოება“,** კონან დოილმა მესამე კურსზე გამოაქვეყნა. ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ მან საექიმო პრაქტიკას მიჰყო ხელი. დაოჯახდა, მაგრამ ექიმობას მისთვის დიდი შემოსავალი არ მოუტანია, ამიტომ საოჯახო ბიუჯეტს მოთხრობებში მიღებული ჰონორარებით ავსებდა. მან შეთხზა რომანი **„ჯონ სმიტის ისტორია“,** მაგრამ ხელნაწერი ფოსტამ დაუკარგა. მერე ორი წლის მანძილზე, ჩარლზ დიკენსის მიბაძვით, რომან **„გერდლთონის სავაჭრო სახლს“** წერდა, მაგრამ მისი დასტამბვა არც ერთმა გამომცემლობამ არ იკისრა.

მერე კი იმხანად მოდაში ახლადშემოსული დეტექტივების წერას მიჰყო ხელი. შერლოკ ჰოლმსის დაბადების დღე ზუსტადაა ცნობილი: 1866 წლის 8 მარტს არტურ კონან დოილმა მოთხრობის **„აბურდული გორგალის“** წერა დაიწყო. იქ კერძო დეტექტივ-კონსულტანტს **შერიდან ჰოუპი,** ხოლო მის მეგობარ ექიმს **ორმონდ საკერი** ჰქვია. აპრილში მოთხრობა დასრულდა და ისევე, როგორც გმირებმა ახალი სახელი მიიღეს: მოთხრობას **„ეტიუდი მეწამულ ტონებში“** ეწოდა, ხოლო გმირები **შერლოკ ჰოლმსად** და დოქტორ **ჯეიმს ვათსონად** იქცნენ. მათი სახელები და გვარები მწერალმა თავისი ნაცნობებისგან „ისესხა“.

დეტექტივი „ეტიუდი მეწამულ ტონებაში“ კი დაიბეჭდა, მაგრამ მწერალს ვერც დიდი შემოსავალი მოუტანა, ვერც სახელი მოუხვეჭა. უფრო მეტ ფულს იგი სხვა მოთხრობებში იღებდა. თავად კონან დოილმა კი ამ დროისთვის შერლოკ ჰოლმსის მიმართ ინტერესი დაკარგა, ის ისტორიული რომანების წერამ გაიტაცა. სულაც არ არის გამორიცხული, რომ შერლოკ ჰოლმსი და დოქტორი ვათსონი ერთი მოთხრობის გმირებად დარჩენილიყვნენ, მაგრამ ბედად ლონდონში ამერიკული ჟურნალის **„ლიპინკოსტის“** მთავარი რედაქტორი ჩამოვიდა, რომელსაც ყოველთვიური ბრიტანული ვერსიის გამოშვების დაწყება სურდა, რომლის ავტორები ბრიტანელები იქნებოდნენ. ჰოდა, სწორედ ამ გამოცემისთვის შექმნა კონან დოილმა მოთხრობა **„ოთხთა ნიშანი“,** თუმცა წარმატება არც ამ ნაწარმოებს ერგო.

არტურ კონან დოილმა სახელი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაითქვა, როცა ახალმა ბრიტანულმა დეტექტივების ჟურნალმა **„სთანდარდ მეგეზინმა“** კერძო გამომძიებლებზე რამდენიმე მოთხრობა დაბეჭდა: გამოცემის ტირაჟი 2,5-ჯერ გაიზარდა! ორ წელიწადში დაიწერა ოცდაოთხი მოთხრობა ჰოლმსისა და ვათსონის გამოძიებებზე, თუმცა მერე კონან დოილმა დედას უთხრა, რომ ბოლოს და ბოლოს დეტექტივის „მოკვლას“ აპირებდა, რადგან ის „უფრო სერიოზული საქმეებისგან აცდენდა“. მას კი კლასიკოსობა და სერიოზული რომანების წერა სურდა. მართალია, დედა ეხვეწებოდა: „არ გაბედო ამის გაკეთებაო“, მაგრამ შვილი შეუვალი იყო და 1883 წელს დაწერა მოთხრობა **„ჰოლმსის უკანასკნელი საქმე“,** რომელშიც იგი დამნაშავეთა სამყაროს მეფესთან, პროფესორ მორიარტისთან ჭიდილში იღუპება.



მთელი ინგლისი შოკში იყო, გაოგნებული მკითხველები კონან დოილის სახლთან მკლავზე შავი ბაფთებშებმულები მიდიოდნენ შერლოკისა და ვათსონის ფათერაკების გაგრძელების მოთხოვნით. მეტიც: **არის ლეგენდა იმის შესახებ, რომ შერლოკ ჰოლმსს სიტყვა თვით დედოფალმა ვიქტორიამაც შეაწია, მაგრამ მწერალი რვა წლის მანძილზე მტკიცედ იდგა თავის აზრზე.**

1901 წლის აგვისტოდან 1902 წლის აპრილამდე, იგივე „სთანდარდ მეგეზინი“ „ბასკერვილების ძაღლს“ ბეჭდავდა, მაგრამ მოქმედება ჰოლმსის დაღუპვამდე წელიწადნახევრით ადრე ხდებოდა. ამ მოთხრობის წყალობით არტურ კონან დოილი მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად მწერლად იქცა. 1903 წელს კი, „ჰოლმსის უკანასკნელი საქმის“ დაწერიდან ათი წლის შემდეგ, გამოვიდა მოთხრობა **„ცარიელი სახლი“,** რომელშიც დოქტორი ვათსონი გონს კარგავს, როცა კვლავ დაღუპულ მეგობარს ხვდება: აღმოჩნდება, რომ იგი სასწაულებრივად გადარჩა ჩანჩქერთან კლდიდან გადავარდნის შემდეგ, ორი წელი ტიბეტში გაატარა, სადაც თვით დალაილამას სტუმრობდა, მოიარა სპარსეთი, ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც მორიარტის თანამზრახველებს ემალებოდა. ახლა კი მათი დაკავების დროც დადგა...

სიუჟეტი სერ არტურს ნორჩმა ქალბატონმა **ჯინ ლეკიმ** უკარნახა, რომელმაც რამდენიმე აბზაციც დაწერა. მწერალს იგი ერთი ნახვით შეუყვარდა და ტუბერკულოზით დაავადებული მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, იგი ცოლადაც შეირთო.

ლიტერატურის ისტორიაში არტურ კონან დოილი შერლოკ ჰოლმსისა და დოქტორ ვათსონის „მამის“ სახელით შევიდა, რომელთა თავგადასავლებზე მან მთლიანად 60 მოთხრობა დაწერა.

„ის“ სახიფათო ორი კვირა

ცხოვრების მჯდომარე წესის სულ ორი კვირა უარყოფითად აისახება ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ბრიტანელ მეცნიერთა თხოვნით, მოხალისეები სპორტს არ მისდევდნენ, მაგრამ თითოეული მათგანი ყოველდღიურად არანაკლებ 10 ათას ნაბიჯს გადიოდა. ექსპერიმენტის ფარგლებში სხვა მოხალისეები ორი კვირის მანძილზე ცხოვრების მჯდომარე წესს მისდევდნენ. ისინი სამსახურამდე მანქანით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მიდიოდნენ, კიბეების მაგივრად ლიფტით ან ესკალატორით სარგებლობდნენ, უქმეებს კი შინ კომპიუტერთან ან ტელევიზორთან ატარებდნენ. ექსპერიმენტის მონაწილენი ფიზიკური აქტივობის აღმნუსხველ საგანგებო მოწყობილობას ატარებდნენ, თანაც მათთვის ჩვეული რაციონით იკვებებოდნენ და კვების დღიურს აწარმოებდნენ.

ორი კვირის შემდეგ 45 მოხალისის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეაფასეს. აღმოჩნდა, რომ მათ წელის შემოწერილობა და ორგანიზმში ქონის ოდენობა გაეზარდათ, შეუმცირდათ კუნთოვანი მასა და დაუქვეითდათ კარდიოგამძლეობა. გარდა ამისა, მონაწილეებს აღენიშნებოდათ ინსულინისადმი მგრძნობელობის შემცირება. უნდა ითქვას, რომ იგივე ნიშნები აღენიშნება იმათ, ვისაც მე-2 ტიპის დიაბეტით დაავადებული უახლოესი ნათესავი ჰყავს.

შემდეგ მოხალისეებს ისევ ფიზიკურად აქტიურად გახდომა სთხოვეს და ორი კვირის შემდეგ ზემოაღნიშნული პრობლემები მოიხსნა.

ზიკის ციებ-ცხელების საფრთხე

საფრანგეთის ტყეებში მკვეთრად მომრავლდნენ ზიკის, დენგესა და ჩიკუნგუნიას ციებ-ცხელების გადამტანი კოლოები.

არადა, ეს კოლოები დიდი ხანია, არც შავიზღვისპირეთს აკლია, რომლებიც იქ დაბინძურებული ტერიტორიებიდან ჩამოსულ ტურისტებსაც ჩამოაქვთ. თანაც ნებისმიერ ტარაში დარჩენილი წყალი ამ კოლოების გამრავლებისთვის იდეალური გარემოა. მათი მოსპობა ძალიან ძნელია, რეპელენტები კი ნაკლებად

ეფექტიანია. ამიტომაც კოლოების გასანადგურებლად საჭიროა სახლის და ეზოების საგულდაგულო დეზინფექცია.

ჯანმრთელი ღრძილები – ტვინის გადამრჩენელნი

ამერიკელი მკვლევარები აცხადებენ, რომ ალცჰაიმერის დაავადების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული პარადონტიტთან.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ პირის ღრუში წარმოშობილი ძალიან მცირე პრობლემებიც კი, თუკი მათ დროულად არ ვუმკურნალებთ, წლების შემდეგ უარყოფით ზეგავლენას იქონიებს მთელ ორგანიზმზე. საქმე ისაა, რომ მცირედი კარიესი, ან გინგივიტი (პარადონტიტის საწყისი სტადია) – სხვა არაფერია, თუ არა მდორედ მიმდინარე ანთებითი პროცესი. ცოტა ხნის წინათ კი გაირკვა, რომ ღრძილების პათოლოგიურ მდგომარეობასა და ალცჰაიმერის დაავადების განვითარებას შორის კავშირი არსებობს.



ღრძილების დაავადებამ თავის ტვინში ცვლილებები რომ გამოიწვიოს, გარკვეული დროა საჭირო, თუმცა, ამის მიუხედავად, ექიმები კიდევ ერთხელ მოგვიწოდებენ, რომ პირის ღრუს ჰიგიენას, ასევე კბილებისა და ღრძილების დროულ მკურნალობას სათანადო ყურადღება მივაქციოთ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ ხმა „მტრის ბანაკიდან“

სოლიდარობა საქართველოს!

აუცილებელი არაა, ჩოგბურთის თავგადაკლული ქომაგი იყოთ იმის გასახსენებლად, რომ ვეტერანი რუსი მეჩოგნე ევგენი კაფელნიკოვი თავის დროზე მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი უპირველესი იყო და მისი სიტყვა თუ საქმე დღესაც საინტერესო, დაფასებული და საჩოგბურთო თუ არასპორტული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია.

სწორედ ამიტომაცაა სასიხარულო, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან მკვეთრად დაპირისპირებულმა ევგენი კაფელნკოვმა რამდენიმე დღის წინათ ჩაწერა და სოციალურ ქსელში განათავსა ორი პატარა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ იგი რუსული ეკონომიკური ემბარგოს ზღვარზე მყოფ საქართველოს სოლიდარობას უცხადებს და რუსი შოვინისტების ჯიბრზე ჯერ გემრიელად სვამს ქართულ „ბორჯომს“, მეორე ვიდეოში კი ქართულ ლიმონათსა და ხინკალს დიდის ნეტარებით გეახლებათ.

ვეტერანი მეჩოგნის ეს საქციელი უკვე გახდა დიდი განხილვის საგანი და რუსეთის ხელისუფლებისადმი ცინიზმით გამსჭვალული ორი პატარა ვიდეო საქართველოს ბევრმა ჩრდილოელმა არაკეთილმოსურნემ სამშობლოს ღალატადაც კი შეაფასა. თუმცა, ევგენი კაფელნიკოვს ეს დიდად არ ანაღვლებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსულ პოლიტიკაში ფესვების მყარად გადგმის დიდი სურვილი და მოტივაცია გააჩნია.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

იქნებ ასე სჯობდა...

ჯგუფური რაუნდის ბოლო ტურის წინ საქართველოს 20-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრების წინაშე კონკრეტული ამოცანა იდგა — თუ ესტონეთთან 20 ქულით მაინც არ წააგებდა შეხვედრას, ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდოდა.

მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილმა გუნდმა უპრობლემოდ შეასრულა პროგრამა — მინიმუმი — მხოლოდ 67:78 დამარცხდა და დღეს პლეი-ოფში მასპინძელ პორტუგალიას ეთამაშება.

ოთხი გამარჯვების შემდეგ წაფორხილება ბურთის დაკარგვასა (21:13) და სამქულიანებში (12:6) ბალტიისპირელთა მოპოვებულმა უპირატესობამ განაპირობა, თორემ მოხსნებში ახალგაზრდა „ჯვაროსნებმა“ 11-ჯერ მეტად აჯობეს ჩრდილოელ თანატოლებს.

ყველაზე შედეგიანები:

რატი ანდრონიკაშვილი — 17 ქულა, 11 მოხსნა, ნიკა მეცხვარიშვილი — 17 ქულა (საქართველო); კრისტიან კულმაე — 22 ქულა (ესტონეთი).

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა: ჰოლანდია, საქართველო, ესტონეთი — 4-4 მოგება, შვედეთი — 2, კოსოვო — 1, სომხეთი — 0 მოგება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

„ჩიხურამ“ „ჩ(ლ)ახურა“

სოსო ფრუიძეს პრაგმატული ტაქტიკის მიმდევარ სპეციალისტად ვიცნობთ, რომელსაც სტაბილურად მოაქვს ღირსეული შედეგები მისი გაწვრთნილი „ჩიხურასთვის“.

ეს რომ ასეა, ევროპალიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ლუქსემბურგის ქალაქ ეშის „ფოლასთან“ ერთნაირი ანგარიშით — 2:1, 2:1 მოგებულმა ორივე შეხვედრამ დაადასტურა (საპასუხო მატჩში, რომელიც თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ გაიმართა, სტუმრებს ბურთები არდაზიშვილმა და სარდალიშვილმა გაუტანეს).

მორიგ ეტაპზე საჩხერელთა მეტოქეს შოტლანდიის „აბერდინისა“ და ფინეთის „როვანიემის“ მეორე ბრძოლა გამოავლენს.

გიორგი შოთაძე

◎ ოლიმპიური ფესტივალი

ბაქო ახალგაზრდულ ფორუმს უმასპინძლებს

აზერბაიჯანის დედაქალაქში 21-27 ივლისს ევროპის XV ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება. მედლებისთვის სპორტის 10 (ველოსპორტი, კალათბურთი, მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ცურვა, ძიუდო, ჭიდაობა, ხელბურთი) სახეობაში 49 ქვეყნის 3000-მდე 18-წლამდელი გოგონა და ვაჟი იბრძოლებს. მათ შორის საქართველოს 36 წარმომადგენელიც (6 სახეობაში) იქნება. ფესტივალზე ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური დელეგაციის მედროშეა ძიუდოისტი გიგა ტატიაშვილი.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა

ცურვა. მამუკა შენგელია, გიორგი ერაძე (**მწვრთნელი** — ირინა მინჟულინა);

ველოსპორტი: გიორგი ქვაბელაშვილი, გიორგი ხორგუანი, საბა ურუშაძე (**მწვრთნელები** — ომარ ფხაკაძე, ავთანდილ მიკუჩაძე).

ჩოგბურთი: კატრინ ესაძე, ლიზი დოლიძე (**მწვრთნელი** — მარინე მალაციძე).

მძლეოსნობა: მედეა შონია (სიგრძეზე ხტომა), გიორგი ყეინაშვილი (ბირთვის კვრა), გიორგი ქურიძე (სიმაღლეზე ხტომა), ნიკა ბოსტოღანაშვილი (ჭოკით ხტომა), მაქსიმ მარდასოვი (110 მ/თ) (**მწვრთნელები** — ვასილ ბერიშვილი, დავით მანთიძე).

ძიუდო: ნიკა ბაჩიაშვილი (50კგ), გუგა ამირხანაშვილი (55), კოტე კაპანაძე (60), ელგუჯა ჭინჭარაშვილი (66), გიორგი იანტბელიძე (73), აკაკი ჯაფარიძე (81), თორნიკე ფოლადაშვილი (90), გიგა ტატიაშვილი (+90), ლოლიტა გაბუნია (44), დიანა გაგოშიძე-ფილკინა (48), მარიამ ლაფაჩიშვილი (63), გვანცა სომხიშვილი (+70) (**მწვრთნელები** — გიორგი ყიზილაშვილი, ლომერ ჟორჟოლიანი, კახა მოცრაძე).

თავისუფალი ჭიდაობა: ნიკოლოზ სანთელაძე (45 კგ), ლუკა გუგეშაშვილი (48), ოთარ მამულაშვილი (51), ბეჟან ბარსონიძე (55), დავით აბდალაძე (60), დავით ფაცინაშვილი (65), (**მწვრთნელები** — გიორგი კვინიკაძე, ალექსანდრე პატარქალიშვილი).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: დავით გვასალია (45კგ), ხვიჩა აბულაძე (48), ნუკრი ბენიძე (51), რომეო ბერიძე (55), ნიკა ბროლაძე (60), ნიკოლოზ მარგველაშვილი (65) (**მწვრთნელები** — ხვიჩა ქორიძე, მამუკა სულთანიშვილი).

ადმინისტრაცია: გიორგი ესაკია — მისიის ხელმძღვანელი,თეონა ომანაძე — პრეს-ატაშე, **ადმინისტრაციული პერსონალი:** რუსუდან აფციაური, ვანო მეკრავიშვილი, გიორგი კერესელიძე, **სამედიცინო პერსონალი** — მამუკა გალდავა, ლევან ლინნიკი.

ფესტივალზე აკრედიტებული მსაჯები: მიხეილ გრძელიძე (ჭიდაობა), ბესარიონ გამსახურდია (სპორტული ტანვარჯიში).

ოლიმპიური სოფლის გარეთ: ლერი ხაბელოვი (სეოკ-ის პრეზიდენტი), ემზარ ზენაიშვილი (სეოკ-ის გენერალური მდივანი).

ლექსო ცინცაძე

◎ ძიუდო

უკვე — მეშვიდედ!

„შევარდენი 2005“ ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის 2019 წლის საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. მისი წევრები თვით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა დააჯილდოვა, რომელიც თავადაც იქ აღიზარდა.

თბილისური კლუბი, რომელმაც ეს ტურნირი ზედიზედ მეშვიდედ მოიგო, ამ ჩემპიონატის დაარსებიდან მისი უცვლელი გამარჯვებულია. „შევარდენი 2005“-მა, შარშანდელის მსგავსად, ფინალში გორის „ვიპ ძიუდო“ დაამარცხა. მესამე ადგილები თბილისურმა „ჯორჯიამ“ და „მებრძოლი 2015“-მა დაიკავეს, რომლებმაც ბრინჯაოს მედლებისთვის შეხვედრებში, შესაბამისად, მცხეთის „ვარსკვლავი 2024“-ს და გურჯაანის „გლადიატორს“ მოუგეს.

მეშვიდე ადგილებზე „ახმეტა“ და საგარეჯოს „არსენა“ გავიდნენ. ამ რვა კლუბმა ოქროს ლიგაში ასპარეზობის უფლება მარტში გამართულ შესარჩევ ტურნირში მოიპოვა. ოქროს ლიგის საპრიზო ფონდი 210 ათასი ლარი იყო, რომელიც შემდეგნაირად განაწილდა: I ადგილი — 50 ათასი, II ადგილი — 40 ათასი, III ადგილები — 30 ათასი, V ადგილები — 20 ათასი, VII ადგილები — 10 ათასი.

ბეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

ჭკვიანი და გულმისავალი

თუ ადამიანს სილამაზისადმი უცნაური წარმოდგენა არ გააჩნია, ერთი ნახვითაც კი აუცილებლად შეუვარდება გული იტალიელ ლამაზმან კრისტინა ბუჩინოზე, რომელიც მშობლიური საფეხბურთო ნაკრების თილისმობის წოდების მოსაპოვებლად ძალ-ღონეს არ იშურებს და ამის შანსი ჰაი ჰაი, რომ გააჩნია!

ლომბარდიაში შობილი და აღზრდილი შხვართი 33 წლისა მოყრილა, უკვე 15 წელია, რაც სამოდელო საქმითაა დაკავებული და თავისი არცთუ მცირე დანაზოგით საკუთარი სამოდელო სახლი გახსნა.

როსტომ რაჭველიშვილი

ყურადღება

ქ. თბილისი, სპ. კედიას ქ. №7

ორგანიზაციის დასახელება: შპს „შშმპ სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“. აცხადებს საჯარო აუქციონს „ცენტრი“-ს შემდეგ ფართზე: I სართული-ლიტერი „ბ“- 55 კვ.მ.(მარცხენა ფლიგელი) და 162კვ.მ (მარჯვენა ფლიგელი); II სართული-ლიტერი „ბ“- 485 კვ.მ.; III სართული-ლიტერი „ბ“-473კვ.მ.; სარდაფი- ლიტერი „ა“-60 კვ.მ.

აუქციონს იჯარის წესით გაცემაზე.

აუქციონზე საიჯარო ქირის საწყისი ღირებულება 1კვ.მ-ზე : I სართული-ლიტერი „ბ“- 55 კვ.მ.(მარცხენა ფლიგელი) და 162კვ.მ (მარჯვენა ფლიგელი); 1კვ.მ- 8 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

II სართული 485კვ.მ –1კვ.მ 6ლ დღგ-ს ჩათვლით.

III სართული 473 კვ.მ -1კვმ 5ლ. დღგ-ს ჩათვლით.

სარდაფი 60 კვ.მ-5 ლ. დღგ- ს ჩათვლით.

„ბე”-ერთი თვის საიჯარო ქირის ოდენობის არანაკლებ 40%.

ბიჯი -5% 1 $მ^2$-ზე.

საიჯარო ვადა განისაზღვროს 6 წლით.

მოიჯარე ვალდებულია გამოჯნოს და დროულად გადაიხადოს კომუნალური გადასახადები.

გაუფრთხილდეს საიჯარო ქონებას.

გაითვალისწინოს მეიჯარის საქმიანობის სპეციფიკა.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

„ბე“-ს გადახდის ქვითარი შემდეგ რეკვიზიტებზე: შპს „შშმპ-თა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“; ს.კ.202059388. ს.ს საქართველოს ბანკი ა.ა.**GE29BG0000000895329300**

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

იურიდიული პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საჯარო აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში მანამდე არსებული ყველა შეთანხმება ითვლება ბათილად.

საწარმო იტოვებს საიჯარო ხელშეკრულების ყოველწლიური გადახედვის უფლებას. ხელშეკრულების პირობებში ჩადებულია მუხლი, რომ საწარმოს სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტა.

აუქციონში მონაწილეობის მსრულველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. აუქციონი გაიმართება შპს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“-ს შენობაში 2019 წლის 1 აგვისტოს 14:00— მისამართზე: თბილისი, სპ. კედიას ქ. №7, 2-ე სართული ტელ: 032 34-80-47.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნატალია დვალიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპუსი №25ა, ბინა №81 (საკადასტრო კოდი: 01.19.39.022.003.01.081).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41600 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 19 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 1 აგვისტო, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61460219;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 614602

6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;
ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;
ანა სადარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;
მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;
მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;
შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ
გორა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61460219; ლოტის ნომერი: 614602).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 1 აგვისტოს 10:00 საათამდე.

ტუროპერატორებისთვის პრეზენტაცია ქუთაითში

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ ქუთაითში წამყვანი ტუროპერატორებისთვის პრეზენტაცია გამართა.

„საქმიანი ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ ქუთაითში შეხვედრები გამართა. პრეზენტაციას საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს წევრი ორგანიზაციების და ქუთაითის ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრებზე კერძო სექტორის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ, დაემყარებინათ ბიზნესურთიერთობები იმ მიზნით, რომ საქართველოში გაიმართოს დიდი ზომის კონგრესები და ღონისძიებები“, – განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მარიამ ქვრივიშვილმა.

ქუთაისის აეროპორტის ახალი ტერმინალის მშენებლობა მალე დასრულდება

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალის მშენებლობით გათვალისწინებული მეორე ფაზის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. მთავრდება ფასადისა და სახურავის მოწყობა. პარალელურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოების მესამე ეტაპი, რაც საინჟინრო-კომუნიკაციების მოწყობას გულისხმობს. სამშენებლო სამუშაოები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე აკაკი საღირაშვილმა და „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორმა გიორგი ჩოგოვაძემ დაათვალიერეს.

ახალი სამგზავრო ტერმინალის მშენებლობის დასრულების შემდეგ აეროპორტს 7 გასასვლელი (ე.წ. Gate) ექნება და საათში 1200 მგზავრის შეუფერხებლად გატარებას შეძლებს. რაც აეროპორტის გამტარუნარიანობას ოთხჯერ გაზრდის.

ჩამოსასვლელი პანდუსი თამარ მეფის ხიდიდან

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თამარ მეფის ხიდიდან ჩასასვლელ პანდუსზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

მიმდინარე სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე გაეცნო. თბილისის მერმა სარეაბილიტაციო მონაკვეთში ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვების დაწესების გამო მოსახლეობას ბოდიში მოუხადა და აღნიშნა, რომ პროექტი სამ თვეში განხორციელდება.

„გასულ წელს აქ გარკვეული გამაგრებითი სამუშაოები ჩავატარეთ, რადგან ეს მონაკვეთი ავარიული იყო. წელს გადავწყვიტეთ, სრულად განვაახლოთ ეს კონკრეტული ადგილი. დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს არსებული დაზიანებების აღმოფხვრას. საყრდენებისა და გარეგანათების შეცვლის შემდეგ ჩატარდება კლდის ფერდობის გამაგრებითი სამუშაოები, ასევე, საკომუნიკაციო სადენები მიწის ქვეშ მოექცევა, დამონტაჟდება ახალი LED სანათები, გზის საფარი კი სრულად შეიცვლება. ამასთან, ბოდიშს ვუხდი ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამ გზაზე გადაადგილდებოდა. გარკვეული შეზღუდვები დაწესდება, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია მუშაობა. მაქსიმალურად ვეცდებით, რაც შეიძლება სწრაფად და ხარისხიანად ჩატარდეს სამუშაოები“, – განაცხადა კახა კალაძემ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები კოჭების შეცვლას, ბურჯის თავების რეაბილიტაციას, სავალი ნაწილის განახლებას, საყრდენი კედლის მშენებლობას და მოაჯირების შეცვლას ითვალისწინებს. სამუშაოების წარმოების პერიოდში საავტომობილო მიმოსვლა სრულად შეიზღუდება როგორც პანდუსზე, ასევე პანდუსის მიმდებარედ, სანაპიროს მარჯვენა განაპირა ზოლზე.

სამუშაოებს თბილისის მერიის კონტრაქტორი კომპანია „კონსტრაქშენ სერვისი" აწარმოებს. პროექტზე ხელშეკრულების მიხედვით 1 836 543 ლარი დაიხარჯება.

გინესის რეკორდი „რაკეტების ქალაქში“

ადამიანის მთვარეზე პირველად ჩასვლიდან 50 წლის აღსანიშნავად, აშშ-ის ე.წ რაკეტების ქალაქში გინესის რეკორდის მოხსნა სცადეს. პარკში შეკრებილი ადამიანები 5000 რაკეტის ერთდროულად გაშვებას უცქერდა, რომელთაგან 4923-მა იმუშავა.

ღონისძიებას 2500-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის, „აპოლო 15“-ის ვეტერანი ასტრონავტი ალ ვორდენი, მარშალის საჰაერო ფრენების ცენტრის დირექტორი ჯოდი ვერნერი და ამერიკული რაკეტების სულისჩამდგმელი, გერმანელი ვორნერ ვონ ბრაუნის ქალიშვილი მარგარეტ ბრაუნი.

ამერიკელი ხალხი ერთი კვირაა, ქვეყნის მასშტაბით „აპოლო 11-ის“ მისიის 50 წლისთავს ზეიმობს, რომელმაც ისტორიაში პირველად დედამიწის ერთადერთ თანამგზავრზე ადამიანები ჩაიყვანა.

ფოიერვერკების გაშვების პატივი 12 წლის ლილიან დურანს ერგო, რომელმაც მედიასთან საუბარში თქვა, რომ ის ახლა ისტორიულ მოვლენას ესწრება.

„ჩვენ ისტორიულ მომენტს ვზეიმობთ, ფაქტს, როდესაც ადამიანი მთვარეზე დაეშვა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა დურანმა.

„რაკეტების ქალაქში“ 178 მოხალისე 696 საათი დაუღალავად მუშაობდა, რათა პატივი მიეგო იმ ასტრონავტებისთვის, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური ისტორია უკვდავყვეს. აღსანიშნავია, რომ 72 საათის განმავლობაში 20 მოხალისე აგებდა ხის სამაგრებს, რომელზეც რაკეტები დამონტაჟდა.



ამჟამინდელი რეკორდი 2018 წელს ერთდროულად გაშვებულ 4231 რაკეტის მოდელს ეკუთვნის, რომელიც ნიდერლანდებში, ტეილინგენის კოლეჯის მიერ მოწყობილ ევროპული საჰაერო მეცნიერების კონვენციის ფარგლებში, ზაფხულში გაუშვეს.

შეგახსენებთ, რომ 1969 წლის 16 ივნისს აშშ-ის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური კოსმოსური პროექტის ყველაზე ამაღელვებელი მოგზაურობა დაიწყო. სამი ასტრონავტი, ნილ ამსტრონგი, ბაზ ოლლდრენი და მაიკლ კოლინზი დედამიწის ერთადერთი თანამგზავრისკენ გაფრინდა. მათ 1969 წლის 21 ივლისს წარმატებით განახორციელეს მთვარის ზედაპირზე დაშვება და სიამაყით ააფრიალეს ამერიკის შეერთებული შტატების დროშა.

უკვე ერთი თვეა, რაც მთვარეზე ადამიანის დაშვებიდან 50 წლისთავს ამერიკაში სხვადასხვა მასშტაბური ღონისძიებებით აღნიშნავენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

მთვარის ნაწილობრივი დაბნელება მსოფლიოს გარშემო

2019 წლის 16 ივლისს, „აპოლო 11“-ის მისიის 50 წლისთავზე, დედამიწის ერთადერთმა თანამგზავრმა სიურპრიზი მოგვიწყო. აფრიკის, ევროპის, სამხრეთ ამერიკისა და აღმოსავლეთ აზიის რეგიონებში მთვარის ნაწილობრივი დაბნელება დაფიქსირდა, რაც რამდენიმე საათს გაგრძელდა. ამ მოვლენის ცქერა საქართველოს ნებისმიერი ტერიტორიიდან, ღამის 12 საათიდან დილის 3:30 წუთამდე იყო შესაძლებელი.

საგანგებო მდგომარეობა გლობალურ ჯანდაცვაში

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გლობალურ ჯანდაცვაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამის შესახებ ინფორმაციას „ამერიკის ხმა“ ავრცელებს.

„გაეროს ჯანდაცვის უწყების მონაცემებით, ებოლას ეპიდემიამ, რომელმაც კონგოში იფეთქა, უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. ეს ისტორიაში მეორე ყველაზე მომაკვდინებელი ინციდენტია, რომელმაც 1 660-ზე მეტი ადამიანი შეიწირა.

განცხადება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა, ექიმმა ტედროს ადჰანომ გებრეიესუსმა გააკეთა. „დადგა დრო, მსოფლიომ ეს შენიშნოს და მცდელობა გააორმაგოს. კონგოსთან სოლიდარობის ნიშნად, ერთად უნდა ვიმუშაოთ, რომ დავასრულოთ ეს აფეთქება და უკეთესი ჯანდაცვის სისტემა შევქმნათ“, — განაცხადა მან.

ჯანდაცვის ექსპერტები ფიქრობენ, რომ ებოლა კონგოში იმდენად სწრაფად ვრცელდება, რომ ეს ნაბიჯი შეიძლება ძალიან დაგვიანებულადაც კი ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ ებოლას შემთხვევა ორმილიონიან ქალაქ გომაშიც დაფიქსირდა, რომელიც რუანდას ესაზღვრება“, — წერს „ამერიკის ხმა“.

გადასახადების გადახდა „ღვთის ნებას ეწინააღმდეგება“

ავსტრალიაში ქრისტიანი მორწმუნეები ორ მილიონზე მეტი ავსტრალიური დოლარით დააჯარიმეს. ამის შესახებ „ბიბისი“ წერს. საქმე ეხება ერთ-ერთ ოჯახს, რომლის წევრებიც ამტკიცებდნენ, რომ „გადასახადების გადახდა ღმერთის ნებას ეწინააღმდეგება“. სწორედ ამ მიზეზით კორნელის ბირპუტი და მისი მეუღლე ანნა საშემოსავლო გადასახადს 2011 წლიდან არ იხდიდნენ. 2017 წელს სასამართლომ წყვილს კუთვნილი ფერმა ჩამოართვა, რადგან მათ ოჯარის გადასახადი არ დაფარეს.

წყვილმა უზენაეს სასამართლოს მიმართა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „ღმერთის ნება უზენაესია, ხოლო გადასახადების დაწესებით სახელმწიფო ღვთის ნებას აკნინებს“.

სასამართლომ ქრისტიანი წყვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა. როგორც მოსამართლემ განაცხადა, „მას არ ეპარება ეჭვი წყვილის რწმენისადმი ერთგულებაში, თუმცა ბიბლიაში მათ სასარგებლოდ არც ერთი არგუმენტი არ მოიპოვება“.

შედეგად, ბირპუტების ოჯახს საერთო ჯამში ორ მილიონზე მეტი ავსტრალიური დოლარის ჯარიმა დაეკისრა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8687; ევრო - 3.2178;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5580;
100 რუბლი - 4.5670; თურქული ლირა - 0.5050;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6929;
1000 სომხური დრამი - 6.0191.

ამინდი 19 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +34
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +29
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +28
თბილისი: ღამე +21, დღე +33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge